



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს - ევროპის უნივერსიტეტი

ვიზიტის განხორციელების თარიღი: 06,07 ნოემბერი 2023

დასკვნის პროექტის წარმოდგენის თარიღი: 24 ნოემბერი, 2023

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

დიანა მჭედლიშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ხათუნა საგანელიძე, ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

თამარ გოდერიძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

შოთა სილაგაძე, სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

2023 წელი

I. ზოგადი ინფორმაცია უმაღლესი დაწესებულების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ევროპის უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	კერძო სამართლის იურიდიული პირი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	3500
სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა (გთხოვთ მიუთითოთ აქტიური და სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა ცალ-ცალკე)	აქტიური: <input type="text" value="3133"/>
	შეჩერებული: <input type="text" value="926"/>
აქტიური და სტატუსშეჩერებული საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა	აქტიური: <input type="text" value="2543"/>
	შეჩერებული: <input type="text" value="384"/>
აკადემიური (მათ შორის აფილირებული), მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	აკადემიური: <input type="text" value="186"/>
	მათ შორის აფილირებული: <input type="text" value="99"/>
	მოწვეული: <input type="text" value="515"/>
	სამეცნიერო: <input type="text" value="4"/>
სასწავლო და/ან სამეცნიერო პროცესში ჩართული საერთაშორისო პერსონალის რაოდენობა	7
ავტორიზაციის მინიჭების თარიღი	02.06.2021
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ნომერი	16.06.2021 №583093
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	02.06.2027

სტუდენტთა ადგილების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	5330
--	------

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის №384853 ბრძანების შესაბამისად, შეიქმნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა შპს ევროპის უნივერსიტეტში ვიზიტის განხორციელება და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან მიმართებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოებების შემოწმება. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდება 2023 წლის 6-7 ნოემბერს. ვიზიტი წარიმართა პირისპირ ფორმატში, ჰიბრიდული სესიებით საჭიროებიდან გამომდინარე. ვიზიტი მიმდინარეობდა კოლეგიურ, საქმიან, თანამშრომლობით და მშვიდ გარემოში. დოკუმენტაციის გაცნობის და ინტერვიუების დროს გამოკვეთილი გარემოებების შემოწმების მიზნით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა გარკვეული დოკუმენტაცია, რაც დაწესებულებამ წარმოადგინა შეუფერხებლად, დათქმულ ვადაში. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის შვიდივე სტანდარტთან მიმართებით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობის გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა 5 რეკომენდაცია და 5 რჩევა. რეკომენდაციების და რჩევების განსაზღვრის მიუხედავად ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ევროპის უნივერსიტეტი თავისი რესურსებით მზად არის მოთხოვნილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში ხარისხიანად განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა. განსაზღვრული რეკომენდაციების და რჩევების მიზანია, კიდევ უფრო დაიხვეწოს ინსტიტუციაში მიმდინარე პროცესები.

მნიშვნელოვანი მიღწევების და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

ევროპის უნივერსიტეტმა მიზანმიმართულად და სტრატეგიულად დაგეგმა აღნიშნული პროცესი, უნივერსიტეტის პრაქტიკულად ყველა რგოლი ჩართულია პროცესში, მოტივირებულია, მობილიზებულია და მზად არის გამოწვევებისთვის.

უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა, რომელიც წარმოდგენილია შთამბეჭდავი რაოდენობით, თანამედროვედ აღჭურვილი ლაბორატორიებით და სიმულაციური ცენტრებით, საკუთარი კლინიკური ბაზებით, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ტექნიკური აღჭურვილობით, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი აუდიტორიებით, თანამედროვედ აღჭურვილი და სტუდენტების მოთხოვნებზე მორგებული ბიბლიოთეკებით.

უნივერსიტეტს აქვს აფილირებული პერსონალის მოზიდვის და შენარჩუნების ეფექტური მექანიზმები.

უნივერსიტეტი გამოირჩევა სტუდენტთა მხარდამჭერი მექანიზმებით; სტუდენტებს ენიშნებათ სტიპენდიები.

საანგარიშო პერიოდში იკვეთება მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და საბიბლიოთეკო რესურსების ზრდა, უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობა.

რეკომენდაციების შეჯამება¹

სტანდარტი 1 - 1.2 კომპონენტი

1. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციის, ადგილობრივი აბიტურიენტების დაინტერესების და მოზიდვის მექანიზმების გაძლიერება.

სტანდარტი 4 - 4.2 კომპონენტი

2. რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის სავალდებულო დატვირთვის სქემის ინფორმირებულობის გაზრდა.

სტანდარტი 5 - 5.2 კომპონენტი

3. რეკომენდებულია, სტუდენტთა მომსახურების ადმინისტრაციულ ერთეულებში ინგლისური ენის კომპეტენციის გაძლიერება.
4. რეკომენდებულია, კლინიკებში ინგლისური ენის ფლობის შესაბამისი კომპეტენციის ლოკალური კოორდინატორების რაოდენობის გაზრდა.

სტანდარტი 7 - 7.3 კომპონენტი

5. რეკომენდებულია, გაძლიერდეს ყველა ლექტორისთვის ელექტრონული ბაზის გამოყენების ინსტრუქტაჟის მექანიზმები.

რჩევების შეჯამება

სტანდარტი 2 - 2.1 კომპონენტი

1. სასურველია, დაწესებულებამ დროულად უზრუნველყოს ყველა მმართველი ადმინისტრაციული პოზიციის შევსება.

სტანდარტი 4 - 4.1 კომპონენტი

¹ საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, დაამატოთ

2. სასურველია, უნივერსიტეტმა იზრუნოს ადმინისტრაციული პერსონალის შევსება-შენარჩუნებაზე, მათი მოზიდვის მექანიზმების გაძლიერებაზე და ინგლისური ენის კომპეტენციის ამაღლებაზე.

სტანდარტი 5 - 5.2 კომპონენტი

3. სასურველია, გადახდის მოქნილი გრაფიკის კონტრაქტით შეთავაზება უცხოელი სტუდენტებისთვის.

სტანდარტი 6 - 6.2 კომპონენტი

4. სასურველია, აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა შიდა პროექტებში;
5. სასურველია, არსებული „Horizon Europe“ ოფისის რესურსების მაქსიმალურად გამოყენება და პროექტებში ჩართვა.

საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში)

1. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ძლიერი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; აღსანიშნავია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამართული მუშაობა, სწორად დაგეგმილი მიმდინარე პროცესები, მოწესრიგებული და სრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
2. უნივერსიტეტმა დააკმაყოფილა ერთი სტუდენტის მოთხოვნა და შეიძინა სტომატოლოგიური სავარძელი სპეციალური აღჭურვილობით, რომლითაც სარგებლობას შეძლებენ მარცხენა ხელით მომუშავე სტუდენტები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (გთხოვთ მონიშნოთ ერთერთი)

განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის მისაღებად;

განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა მოთხოვნილზე ნაკლები ზღვრული რაოდენობის მისაღებად;

განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა არსებული და არა მოთხოვნილი² ზღვრული რაოდენობის მისაღებად.

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება/არგაზიარების შესახებ

აღწერა:

² იმ შემთხვევაში, თუკი განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არ არის სტუდენტთა არსებული ზღვრული რაოდენობის მისაღებად, გთხოვთ, აღწეროთ/გაანალიზოთ სტანდარტების აღწერილობით ნაწილში

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც მოახდინა შემდეგი ცვლილებები:

- 1.2 კომპონენტის რეკომენდაცია ნაცვლად ფორმულირებისა „რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაცია, ადგილობრივი აბიტურიენტების დაინტერესების და მოზიდვის მექანიზმების შემუშავება“ ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციის, ადგილობრივი აბიტურიენტების დაინტერესების და მოზიდვის მექანიზმების გაძლიერება.“ გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ ჩატარებული ღონისძიებები, თუმცა ვინაიდან, ეროვნული გამოცდებით აბიტურიენტების მიღების მაჩვენებელი გამოცხადებულ ადგილებთან მიმართებით მკვეთრად განსხვავდება, მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ საჭიროა მექანიზმების გაძლიერება.
- 7.3 კომპონენტის რეკომენდაციაში ნაცვლად ფორმულირებისა "რეკომენდებულია, დაინერგოს ყველა ლექტორისთვის ელექტრონული სასწავლო ბაზის გამოყენებასთან დაკავშირებით კონსულტაციების პერიოდულად ჩატარება", რეკომენდაცია განისაზღვრა შემდეგნაირად: "გაძლიერდეს ყველა ლექტორისთვის ელექტრონული ბაზის გამოყენების ინსტრუქტაჟის მექანიზმები". ცვლილების მიზეზი ისაა, რომ მიღებული უკუკავშირიდან გამომდინარე უსდ-ს აქვს კონსულტირების და ტრენინგების სისტემა, თუმცა მიგვაჩნია, რომ შედეგების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით აღნიშნული მექანიზმი გასაძლიერებელია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 4.2 პუნქტის რეკომენდაცია „რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის სავალდებულო დატვირთვის სქემის ინფორმირებულობის გაზრდა“ დარჩა უცვლელად, ვინაიდან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა აკადემიურ პერსონალთან ამ მხრივ მუშაობის გაზრდის საჭიროება.

ასევე, უცვლელად დარჩა 5.2 კომპონენტში განსაზღვრული რეკომენდაციები, რომელთა შესრულება გააუმჯობესებს სწავლებისა და მომსახურების ხარისხს უცხოელი სტუდენტებისთვის.

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 უსდ-ის მისია

1.2 სტრატეგიული განვითარება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს

ნაწილობრივ აკმაყოფილებს

არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

1.1 უსდ-ის მისია

ევროპის უნივერსიტეტის მისიით, ხედვითა და ღირებულებებით განსაზღვრულია ინსტიტუციის როლი და ადგილი ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში, რაც მხარდაჭერილია მისი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით.

უნივერსიტეტის მისია განთავსებულია ვებ-გვერდზე. მისიიდან ჩანს, რომ ინსტიტუცია ორიენტირებულია სტუდენტების ინტერესებზე და ემსახურება კონკურენტუნარიანი

სპეციალისტების მომზადებას როგორც ლოკალური, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის, ვინაიდან ინსტიტუციაში სტუდენტები 70-მდე ქვეყნიდან ირიცხებიან. უნივერსიტეტის მისია ეფუძნება ევროპულ ღირებულებებს და ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებებით აღჭურვილი მოქალაქის ჩამოყალიბებას.

ევროპის უნივერსიტეტის ხედვით, ინსტიტუცია წარმოადგენს თავისუფალ საგანმანათლებლო სივრცეს რითაც წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, ავითარებს თანამედროვე სტანდარტებით უზრუნველყოფილ სასწავლო და სამეცნიერო გარემოს მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსის ჩართულობით როგორც ლოკალური, ისე 70-მდე ქვეყნიდან მიღებული საერთაშორისო სტუდენტებისთვის, რაც ხაზს უსვავს მის გამორჩეულობას საგანმანათლებლო სივრცეში. უნივერსიტეტის მისიაში გამოკვეთილი მახასიათებლები განსაზღვრავს უნივერსიტეტის საქმიანობას და პროფილს, ხაზს უსვავს აკადემიური თავისუფლების პრინციპების აღიარებას და საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვას.

1.2 სტრატეგიული განვითარება

ევროპის უნივერსიტეტს აქვს მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებული „მპს ევროპის უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება სტრატეგიული განვითარებისა და სამომქმედო გეგმების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგი. ევროპის უნივერსიტეტს აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების (2019-2025) და სამწლიანი (2022-2025) სამოქმედო გეგმები.

სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019-2025) შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელსაც კოორდინირებას უწევდა სტრატეგიული განვითარების სამსახური, ხოლო პროცესში ჩართულები იყვნენ უნივერსიტეტის შიდა და გარე დაინტერესებული მხარეები. დოკუმენტი ითვალისწინებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებს, რომლებიც თავის მხრივ სამოქმედო გეგმებში იშლება ამოცანებად და აქტივობებად.

უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებად განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებები:

1. უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება;
2. უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება;
3. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის ამაღლება, სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა;
4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება;
5. სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება;
6. უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება.

თითოეული სტრატეგიული მიმართულებისათვის განსაზღვრულია მოკლევადიანი ამოცანები. პრიორიტეტული მიმართულებები უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მისიით დადგენილი მიზნების მიღწევას. სტრატეგიული პრიორიტეტები არის კონკრეტული და წარმოადგენს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელების შედეგებს. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანები კი აერთიანებს იმ აქტივობებს, რომელთაგანაც თითოეულს აქვს აღწერა, პასუხისმგებელი პირი, დამხმარე სუბიექტი, მითითებული აქვს განხორციელების რისკი, რესურსი, შესრულების ვადა, ფინანსური უზრუნველყოფა ინსტიტუციის ბიუჯეტიდან, ინდიკატორი და სამიზნე ნიშნული. აღნიშნული დოკუმენტები შესაძლებელია მოდიფიცირდეს შუალედურ შეფასებებზე, დაგროვებულ პრაქტიკასა და უნივერსიტეტის საჭიროებებზე დაყრდნობით.

ევროპის უნივერსიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა და მესამე მისიის აქტივობების განხორციელება. სამოქმედო გეგმაში აღნიშნული დეკლარირებულია პირველი პრიორიტეტული მიმართულების მეორე ამოცანად და განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობები.

სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში უნივერსიტეტი ახორციელებს უფასო ტრენინგებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგებისთვის; ასევე, ხორციელდება არქეოლოგიური ექსპედიციები და გამოიყენება სამეცნიერო ჟურნალი „არქეოლოგია“;

განხორციელდა რამდენიმე ზაფხულის და ზამთრის სკოლა; საფრანგეთის საელჩოსთან თანამშრომლობით ჩატარდა ესეების კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა 150-მდე აპლიკანტმა მიიღო და ღონისძიებას ევროპული ქვეყნების ელჩები, ატაშეები და სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მიზნით ხორციელდება კვარტალური და წლიური მონიტორინგი. კვარტალური ანგარიშის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს დაგეგმილი ღონისძიებების პროგრესის მონიტორინგი, რათა დროულად მოხდეს დამატებითი გარემოებების შესწავლა ღონისძიების დადგენილ ვადაში განხორციელების მიზნით, ხოლო წლიური ანგარიშის მონიტორინგის დროს ხდება ოთხივე კვარტლის მონიტორინგის ანგარიშის შეჯერება და პროცესს ხელმძღვანელობს რექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. კვარტალური და წლიური ანგარიშის შემუშავების შემდეგ ხდება მათი წარდგენა მმართველი საბჭოს სხდომაზე, სადაც ანალიზდება ძლიერი და სუსტი მხარეები და ცვლილებების საჭიროება სამოქმედო გეგმაში. მონიტორინგის კოორდინირებას ახდენს სტრატეგიული განვითარების სამსახური, რომელიც კვარტალურად და წლის ბოლოს გამოითხოვს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისგან ანგარიშებს შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად. კვარტალური და წლიური ანგარიშების განხილვა ხდება მმართველი საბჭოს სხდომაზე, სადაც განიხილება აქტივობების შესრულების საკითხი. 2022 წელს ცვლილებები შევიდა შეფასების მექანიზმებში, მოხდა შეფასების სტატუსების დივერსიფიცირება ოთხდონიანი შკალის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს აქტივობის ზუსტი სტატუსის განსაზღვრას.

წლიური მონიტორინგს აქვს საკვანძო მნიშვნელობა სტრუქტურული ერთეულების მუშაობის შეფასების პროცესში და მასზე დაყრდნობით ხდება ახალი საჭიროებების იდენტიფიცირება, რომელიც შესაძლებელია შემდეგი საანგარიშო პერიოდის ნაწილი გახდეს. მონიტორინგის შედეგების განხილვისას მმართველმა საბჭომ შესაძლოა მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

1. სტრატეგიული განვითარების ან/და სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელების შესახებ;
2. ანგარიშში ასახული შეუსრულებელი ღონისძიებების მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმაში დამატების შესახებ (იმ შემთხვევაში, თუ არ არის დაკარგული შესრულების ინტერესი).

ევროპის უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

დაწესებულება ახორციელებს თავის საქმიანობას სტრატეგიული ამოცანების გეგმიურად შესრულების გზით და ეტაპოვრივად ასრულებს დაგეგმილ ღონისძიებებს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების სამ-წლიანი გეგმის მე-6 ამოცანა არის სწორედ „სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ზრდა“, რომელიც გათვალისწინებული იყო 2022-2023 ს.წ. და რომლის შესრულების მიზნით შესაბამისად გაიზარდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ადამიანური რესურსები (ადმინისტრაციული, აკადემიური, მათ შორის აფილირებული და მოწვეული პერსონალი), საბიბლიოთეკო სივრცეები და რესურსები, დაემატა საგანმანათლებლო პროგრამები, განვითარდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ უნდა იმუშავოს სტუდენტების მოზიდვის მექანიზმების გაძლიერებაზე ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის, ვინაიდან მედიცინის პროგრამების გარდა სხვა პროგრამებზე არ იკვეთება მოთხოვნილების ზრდის ტენდენცია. ამასთან, დაბალია ეროვნული გამოცდებით სტუდენტების მიღების მაჩვენებლები გამოცხადებულ ადგილებთან მიმართებით. საჭიროა პროგრამების მეტი პოპულარიზაცია, ადგილობრივი აბიტურიენტების დაინტერესების და მოზიდვის მექანიზმების გაძლიერება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. ევროპის უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები: <https://eu.edu.ge/ge/mission/>;
2. ევროპის უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის დადგენილებით, სხდომის ოქმი №6);

<ul style="list-style-type: none"> 3. ევროპის უნივერსიტეტის 2019-2025 წლების სტრატეგიის დოკუმენტი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2019 წლის 3 იანვრის დადგენილებით, სხდომის ოქმი №1); 4. ევროპის უნივერსიტეტის სამწლიანი (2022-2025) სამოქმედო გეგმა; 5. ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://eu.edu.ge/ge; 6. უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის მიხედვით განხორციელებული ღონისძიებები და აქტივობები; 7. ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია; 8. ინტერვიუები; 9. თვითშეფასების ანგარიში.
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
<p>1.2</p> <p>1. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციის, ადგილობრივი აბიტურიენტების დაინტერესების და მოზიდვის მექანიზმების გაძლიერება.</p>
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
-

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს

ნაწილობრივ აკმაყოფილებს

არ აკმაყოფილებს

<p>გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები</p> <p>2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა</p> <p>ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტურად განხორციელებასა და მისი მიზნების მიღწევას. საანგარიშო პერიოდში სტრუქტურამ განიცადა რამდენიმე ცვლილება, კერძოდ, განხორციელდა 2 ფაკულტეტის გაერთიანება: ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი შეერწყა სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს. ჩამოყალიბდა ახალი ფაკულტეტი შემდეგი სახელწოდებით - სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი. ცვლილება გამოწვეული იყო რამდენიმე პროგრამის მიღწევად რეჟიმში გადასვლის გამო, ხოლო ერთმა პროგრამამ გადაინაცვლა მედიცინის ფაკულტეტზე. ამდენად, რესურსების ოპტიმიზაციის და პროცესების უკეთ ადმინისტრირების მიზნით შეიქმნა ერთი ფაკულტეტი. გარდა ამისა, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით ვიცე-რექტორის დაქვემდებარებულმა იურიდიულმა სამსახურმა გადაინაცვლა რექტორის დაქვემდებარებაში, ხოლო რექტორის დაქვემდებარებაში მყოფი ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი გადავიდა სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების</p>
--

ფაკულტეტის ქუდევემ. აღნიშნული გადაადგილება გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ იურიდიული სამსახური ახორციელებს არამხოლოდ სასწავლო პროცესის სამართლებრივ მხარდაჭერას, არამედ უზრუნველყოფს სრულიად ინსტიტუციის საქმიანობის გამართულობას და კანონმდებლობასთან შესაბამისობას. რაც შეეხება ისტორიულ-არქეოლოგიურ მუზეუმს, დაწესებულების გადაწყვეტილებით შემუშავდა არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, რომელმაც 2022-2023 აკადემიურ წელს მიიღო აკრედიტაცია, მუზეუმი კი წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის ერთ-ერთ ობიექტს, შესაბამისად რელევანტურად ჩაითვალა მუზეუმის ფაკულტეტის ქუდევემ ყოფნა.

ფაკულტეტს ხელმძღვანელობს დეკანი, რომელიც იმყოფება უშუალოდ რექტორის დაქვემდებარებაში. ფაკულტეტის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის დეკანის მოადგილეები (მედიცინის ფაკულტეტის შემთხვევაში), ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერები, პროგრამის ხელმძღვანელები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ლაბორატორიები, სასწავლო ცენტრები. სტრუქტურის მიხედვით არსებობს მეორე შტო, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამართულად განხორციელებას. ის სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ემსახურებიან სასწავლო პროცესის ეფექტურ ადმინისტრირებას ექვემდებარებიან ვიცე-რექტორს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით. ეს სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური;
- ბ) საგამოცდო ცენტრი;
- გ) სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი;
- დ) საქმისწარმოების სამსახური;
- ე) სერვისების სამსახური;
- ვ) შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური;
- ზ) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური.

არსებობს მესამე შტო, რომელიც აფასებს, როგორც სასწავლო პროცესის, ასევე სასწავლო პროცესის ადმინისტრირების კუთხით შესრულებული სამუშაოების ხარისხს. ეს არის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ექვემდებარება ვიცე-რექტორს ხარისხის განვითარების მიმართულებით. აღნიშნული სტრუქტურული ერთეული ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებაზე და პრაქტიკაში მათ დანერგვაზე, ატარებს შესაბამის კვლევებს, აანალიზებს კვლევის შედეგებს და სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობით გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორის დაქვემდებარებაშია კიდევ ორი სტრუქტურული ერთეული: სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი.

რექტორის დაქვემდებარებაშია ფინანსური, იურიდიული, ადამიანური რესურსების მართვის, სტრატეგიული განვითარების, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურები. უნივერსიტეტის რექტორია პასუხისმგებელი დაწესებულების პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებასა და მონიტორინგზე, ადამიანური რესურსების მართვის კუთხით ერთიანი პოლიტიკის შემუშავებაზე, სტრატეგიული მიმართულებების (სტრუქტურულ ერთეულებთან/ვიცე რექტორებთან ერთად) ჩამოყალიბებაზე. უნივერსიტეტის რექტორს ასევე ექვემდებარე ბიბლიოთეკა.

მართვის პროცესში ჩართულია კოლეგიური ორგანო - მმართველი საბჭო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს პროგრამების დამტკიცების, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტების დამტკიცების და სხვა არსებითი საკითხების შესახებ. მმართველი საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ა) რექტორი;
- ბ) ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით,
- გ) ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;
- დ) ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;

- ე) ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის - ფაკულტეტის დეკანები;
- ვ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
- ზ) ფინანსური სამსახურის უფროსი;
- თ) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის უფროსი;
- ი) სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;
- კ) ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი;
- ლ) თითო აფილირებული აკადემიური პერსონალი შესაბამისი ფაკულტეტიდან;
- მ) ევროპის უნივერსიტეტის ერთი კურსდამთავრებული;
- ნ) ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე;
- ო) ევროპის უნივერსიტეტის ერთი სტუდენტი;
- პ) ერთი პოტენციური დამსაქმებელი.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად ვაკანტურია სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით ვიცე-რექტორის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის პოზიციები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უკვე შერჩეულია შესაბამისი კადრი და ვაკანსიები აუნლოეს პერიოდში ისევ შეივსება.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ მართვის ორგანოებში არჩევა/დანიშვნა მოხდეს წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების მიხედვით. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურები დამტკიცებულია, არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი: „მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა“ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 20 მარტის №88 ბრძანებით) და „პასუხისმგებლობის გადანაწილებისა და დელეგირების წესი“ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 19 მარტის №76 ბრძანებით).

აღსანიშნავია, რომ მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი ხორციელდება შემდეგი ძირითადი მექანიზმების საშუალებით:

- ა) სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის გზით;
- ბ) ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის კომპეტენციათა შეფასების გზით;
- გ) სწავლებისა და სხვა საუნივერსიტეტო სერვისებით კმაყოფილების კვლევის გზით.

მონიტორინგის განხორციელებისა და შედეგებზე რეაგირების პროცედურა მოცემულია ზემოაღნიშნულ დოკუმენტში.

უნივერსიტეტის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა. საქმისწარმოების პრინციპები და პროცედურები დეტალურად არის მოცემული უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესში.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებების რექსტრის წარმოებას. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურში არსებობს, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებების რექსტრის წარმოებაზე, ასევე შიდა საუნივერსიტეტო ბაზების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირების თანამდებობები. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო დაწესებულების რექსტრის წარმოების წესი, რომელიც განახლდა 2022 წელს და შესაბამისობაში მოვიდა კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ეფუძნება „ევროპის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის და მისი განხორციელებისა და შეფასების მექანიზმებს“ (დამტკიცებულია მმართველი საბჭოს 2020 წლის 4 მაისის დადგენილებით, სხდომის ოქმი №9).

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის 3 ძირითადი მიმართულებაა:

- სწავლა-სწავლების პროცესის ინტერნაციონალიზაცია;
- ექსტრაკურიკულარული აქტივობების ინტერნაციონალიზაცია;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია.

პოლიტიკის დოკუმენტის ამ 3 პრიორიტეტის მიმართულებით აქტივობები გაწერილია უნივერსიტეტის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმაში.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ეფექტური იმპლემენტაციისთვის შემუშავებულია „საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის წესი“ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 21 აგვისტოს №218 ბრძანებით), რომელშიც აღწერილია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობასთან დაკავშირებული პროცესის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი. აღნიშნული წესი განახლებულ იქნა 2022 წლის ნოემბერში. მისი განახლებული სახელწოდებაა “საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის წესი” და გარდა სტუდენტებისა და ლექტორების აკადემიური ხასიათის მობილობებისა, არეგულირებს ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის პროცესსაც.

ევროპის უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს 31 ქვეყნის 81 უცხოურ უნივერსიტეტთან, რომელთაგან 47 მდებარეობს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში (<https://eu.edu.ge/ge/international-relations/international-partners>). საანგარიშო პერიოდში ევროპის უნივერსიტეტს შეემატა 36 პარტნიორი უნივერსიტეტი დამატებით 8 ქვეყნიდან.

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ შემუშავებული „საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის წესი“ არეგულირებს პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის შესარჩევი კონკურსის გამოცხადებას, შერჩევის პროცედურებსა და კრიტერიუმებს, სტუდენტთა საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადების საკითხებს. დოკუმენტი განთავსებულია ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ცალკეული კონკურსების გამოცხადებისას, დამატებით ზიარდება შესაბამის პირებთან.

საანგარიშო პერიოდში, 2021 წლის ივნისიდან 2023 წლის ბოლომდე საერთაშორისო მობილობა განხორციელებული ექნება უნივერსიტეტის 22 სტუდენტს და 24 პერსონალს.

უნივერსიტეტი აქტიურად ერთვება საერთაშორისო მობილობის პროგრამებში და ამ მხრივ მზარდი მაჩვენებელი ფიქსირდება.

ამასთან, ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალის ექსტრაკურსულარული აქტივობების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განხორციელდა 20-მდე აქტივობა; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის კუთხით განხორციელებულია სხვადასხვა აქტივობები - საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა და სხვ. აღნიშნული მიმართულებითაც საანგარიშო პერიოდში ფიქსირდება მზარდი დინამიკა.

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

ევროპის უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც აფასებს, როგორც სასწავლო პროცესის, ასევე სასწავლო პროცესის ადმინისტრირების კუთხით შესრულებული სამუშაოების ხარისხს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ექვემდებარება ვიცე-რექტორს ხარისხის განვითარების მიმართულებით. აღნიშნული სტრუქტურული ერთეული ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებაზე, ნერგავს მათ, ატარებს შესაბამის კვლევებს, აანალიზებს კვლევის შედეგებს და სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობით გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ შეიმუშავებს რეკომენდაციებს. სამსახური ასევე ახორციელებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მხარდაჭერას. სამსახური პასუხისმგებელია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების კოორდინირებაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შედგება უფროსისგან (რომელიც ამჟამად ვაკანტურია) და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერებისგან. ამ ეტაპზე საქმიანობის სრულ კოორდინაციას ახორციელებს ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ ევროპის უნივერსიტეტში გამართულად და სრულყოფილად მუშაობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რასაც ასევე მოწმობს სწორად დაგეგმილი მიმდინარე საავტორიზაციო პროცესები და წარმოდგენილი დოკუმენტების მოწესრიგებულობა.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში დამატებით შემუშავებულია და მოქმედებს რექტორის 2020 წლის 23 მარტის №95 ბრძანებით დამტკიცებული „კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო“, რომელიც არეგულირებს უნივერსიტეტის მასშტაბით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ჩასატარებელი კვლევების, გამოკითხვების პროცესსა და მიღებული შედეგების სათანადოდ გამოყენების საკითხს. სახელმძღვანელო ითვალისწინებს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო თუ საგამოცდო პროცესების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, ასევე, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სხვა არსებული და საჭირო რესურსებით სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევას. კვლევები რეგულარული ხასიათისაა, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულებებით გასაუმჯობესებელი საკითხების მუდმივად იდენტიფიცირებას და გამოვლენილი საყურადღებო საკითხების საპასუხოდ რეაგირებას შედეგების გაუმჯობესებისა და დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების გაზრდის მიზნით.

ევროპის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებულია და მოქმედებს რექტორის 2020 წლის 20 მარტის №82 ბრძანებით დამტკიცებული „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვითაც ფასდება საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსი (აუდიტორიუმის რაოდენობა და გამტარუნარიანობა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ჩასატარებელი საკონტაქტო საათების მიხედვით), ადამიანური რესურსი (როგორც პროგრამის ადმინისტრირების პროცესში ჩართული, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი), უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსი (ბიბლიოთეკაში არსებული ადგილებისა და სტუდენტის მიერ ბიბლიოთეკაში საშუალოდ გატარებული დროის გათვალისწინებით), პრაქტიკის ბაზების გამტარუნარიანობა (ობიექტების/კლინიკების რაოდენობის და ხელშეკრულებებით განსაზღვრული სტუდენტთა ერთდროულად მისაღები მაქსიმალური რაოდენობების გათვალისწინებით), შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების (დიპლომირებული მედიკოსის და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამების) შემთხვევაში ფასდება ასევე ლაბორატორიების გამტარუნარიანობა (ლაბორატორიების რაოდენობების, მათი შესაძლო საათობრივი დატვირთვისა და საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ლაბორატორიაში ჩასატარებელი საათების გათვალისწინებით), დიპლომირებული მედიკოსის და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში კი ფასდება ასევე სიმულაციური ცენტრის გამტარუნარიანობა (ცენტრში არსებული სიმულაციური ოთახების რაოდენობის, მათი შესაძლო საათობრივი დატვირთვისა და საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სიმულაციურ ცენტრში ჩასატარებელი საათების გათვალისწინებით).

აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის რესურსის შეფასების საფუძველზე, გამოითვლება თითოეული პროგრამის მიხედვით სტუდენტთა ის რაოდენობა, რომლის ხარისხიანად და ეფექტიანად მომსახურებასაც შეძლებს უნივერსიტეტი საგანმანათლებლო თითოეული პროგრამის ფარგლებში. ასევე, შემუშავებულია და მოქმედებს რექტორის 2020 წლის 21 მარტის №91 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინენტის მონიტორინგის პროცედურა“, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობის მონიტორინგს ადგილების გამოცხადების (ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდებით, ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო

გამოცდების გავლის გარეშე მიღების, მობილობით სტუდენტების მიღების) შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საანგარიშო პერიოდში მოდიფიცირდა სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და დამატა არსებული ლაბორატორიებისა და სიმულაციური ცენტრის გამტარუნარიანობის შეფასება, პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობის შეფასება და დაზუსტდა კლინიკების გამტარუნარიანობის შეფასების მიდგომებიც.

მეთოდოლოგიით მიღებული შეფასებების საფუძველზე გამოიკვეთა რესურსების დამატების საჭიროება სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის პირობებში და განხორციელდა შესაბამისი რეაგირებები, მაგალითად, მოხდა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის დამატება, აუდიტორიების, ლაბორატორიების, სიმულაციური ოთახების დამატებით მოწყობა, საბიბლიოთეკო სივრცის დამატება, პრაქტიკის ობიექტების დამატება და ა.შ.

აღნიშნული მეთოდოლოგია აჩვენებს უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დაძლევის შესაძლებლობას.

2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

ევროპის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსი“ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 19 მარტის №78 ბრძანებით), რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. კოდექსი განსაზღვრავს შპს ევროპის უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა ქცევის წესებს, ასევე ადგენს დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომებს და დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებულ პროცედურებს. კოდექსის მიზანია უნივერსიტეტში ქცევის ისეთი წესების დამკვიდრება, რომლებიც ხელს შეუწყობს: ა) დასაქმებული პერსონალისა და სტუდენტების პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის პრინციპების განმტკიცებას; ბ) თვითდისციპლინას და სხვათა პატივისცემას, ასევე კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და აკადემიური თავისუფლების დამკვიდრებას; გ) უნივერსიტეტის პერსონალის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა პროფესიონალურ დონეზე განხორციელებას; დ) სამართლიანი, ეფექტიანი და მიუკერძოებელი საქმიანობის განხორციელებას; ე) პროფესიულ საქმიანობაში საკანონმდებლო და შიდა საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტების მოთხოვნების დაცვას.

კოდექსში გაწერილია სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წარმოებასთან დაკავშირებული პროცედურები, ხოლო პერსონალის დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები მოცემულია უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესში. დისციპლინური სახდელის დაკისრება, როგორც სტუდენტების, ასევე პერსონალის შემთხვევაში ხდება დისციპლინური კომისიის მიერ საქმის გარემოებათა შესწავლის საფუძველზე. დისციპლინური კომისია იქმნება დაინტერესებული პირის განცხადებით მიმართვის შემთხვევაში, შესაბამისი ფაქტულების დეკანის წარდგინების საფუძველზე, რექტორის სამართლებრივი აქტით. პირს, რომლის მიმართაც უნდა მოხდეს დისციპლინური სანქციის გამოყენება ეძლევა შესაძლებლობა გამოცხადდეს კომისიის სხდომაზე და გამოთქვას საკუთარი მოსაზრება.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები“ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 13 მარტის №63 ბრძანებით). აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება, როგორც სტუდენტზე, ასევე აკადემიურ/მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალზე.

უნივერსიტეტი პლაგიატის პრევენციის მიზნით ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ა) ნერგავს აკადემიური წერის კულტურას;
- ბ) აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტებისთვის მართავს საინფორმაციო შეხვედრებს პლაგიატთან დაკავშირებით მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით და აცნობს მათ პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებსა და მექანიზმებს;
- გ) პლაგიატის პრევენციის მიზნით გეგმავს სხვადასხვა სახის კამპანიას;

დ) იყენებს Turnitin-ის (ტურნიტინი) ელექტრონულ პროგრამას;

ე) უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განათავსებს ინფორმაციას/ინსტრუქციებს პლაგიატის პრევენციის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ პლაგიატის ამომცნობი ელექტრონული პროგრამის გამოყენება ეხება, როგორც საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომს და სტუდენტურ/სამეცნიერო კონფერენციებსა და უნივერსიტეტის სამეცნიერო გამოცემებში გამოსაქვეყნებელ მასალას, ასევე სასწავლო კურსით გათვალისწინებულ ნებისმიერ წერით დავალებას. ამ მიზნით ლექტორი ვალდებულია შესაბამისი სილაბუსით განსაზღვრულ იმ წერით დავალებაში (მაგალითად: რეფერატი, პროექტი და ა.შ.), რომლითაც გათვალისწინებულია წყაროს მითითების აუცილებლობა, სტუდენტის ნამუშევარი შეამოწმოს პლაგიატის ამომცნობ პროგრამაზე, და ყოველი სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ წარუდგინოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს ანგარიში სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმებისა და რეაგირების შესახებ. დეკანის მიერ ფაკულტეტის მასშტაბით შედგენილი აღნიშნული ანგარიში წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართულებით ცნობადობის ამაღლების, პერსონალის გადამზადებისა და მექანიზმების დახვეწის მიზნით რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. ევროპის უნივერსიტეტის სტრუქტურა;
2. ევროპის უნივერსიტეტის დებულება (დამტკიცებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2020 წლის 11 მარტის №3/2 ბრძანებით);
3. სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დებულება (დამტკიცებულია რექტორის 2022 წლის 31 მაისის № 117804 ბრძანებით);
4. ევროპის უნივერსიტეტის მმართველის საბჭოს დებულება (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 12 მარტის №57 ბრძანებით);
5. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 20 მარტის №88 ბრძანებით);
6. პერსონალის შერჩევის წესი (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 20 მარტის №86 ბრძანებით);
7. ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა;
8. პასუხისმგებლობის გადანაწილებისა და დლეგირების წესი (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 19 მარტის №76 ბრძანებით);
9. ევროპის უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესი (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 10 მარტის №50 ბრძანებით);
10. ევროპის უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა რეესტრის წარმოების წესი (დამტკიცებულია რექტორის 2018 წლის 29 დეკემბრის №126 ბრძანებით);
11. ევროპის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მისი განხორციელებისა და შეფასების მექანიზმები (დამტკიცებულია მმართველი საბჭოს 2020 წლის 4 მაისის დადგენილებით, სხდომის ოქმი №9);
12. საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის წესი (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 21 აგვისტოს №218 ბრძანებით);
13. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ანგარიში განხორციელებული აქტივობების შესახებ, 2022-2023 აკადემიური წელი;
14. ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://eu.edu.ge/ge> და ტექსტში მითითებული ბმულები;
15. ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 20 მარტის №82 ბრძანებით);
16. ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 21 მარტის №91 ბრძანებით);

<p>17. სტუდენტთა კონტინგენტის გამოთვლის ცხრილი, 2022-2023 აკადემიური წელი;</p> <p>18. სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის ცხრილი, 2022-2023 აკადემიური წელი;</p> <p>19. ევროპის უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: გურამიშვილის გამზირი, №76, თბილისი, 0141, სარაჯიშვილის ქ. №17, თბილისი, 0189, ლუბლიანას ქ. №35, თბილისი, 0159;</p> <p>20. პრაქტიკის ობიექტებთან/კლინიკებთან გაფორმებული მემორანდუმები;</p> <p>21. კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 23 მარტის №95 ბრძანებით);</p> <p>22. კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელოს ფარგლებში ჩატარებული კვლევები, გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;</p> <p>23. ევროპის უნივერსიტეტის ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსი (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 19 მარტის №78 ბრძანებით);</p> <p>24. პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 13 მარტის №63 ბრძანებით);</p> <p>25. პლაგიატის ამომცნობი ელექტრონული პროგრამა - https://www.turnitin.com/;</p> <p>26. ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://eu.edu.ge/ge და ტექსტში მითითებული ბმულები;</p> <p>27. ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია;</p> <p>28. ინტერვიუები;</p> <p>29. თვითშეფასების ანგარიში.</p>
<p>ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები</p> <p>-</p>
<p>ექსპერტთა ჯგუფის რჩევები</p> <p>2.1</p> <p>1. სასურველია, დაწესებულებამ დროულად უზრუნველყოს ყველა მმართველი ადმინისტრაციული პოზიციის შევსება.</p>

3. საგანმანათლებლო პროგრამები

- 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
- 3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
- 3.3 სწავლის შედეგების შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს
 ნაწილობრივ აკმაყოფილებს
 არ აკმაყოფილებს

<p>გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები</p>
<p>3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება</p>

უნივერსიტეტში პროგრამების შემუშავება და განვითარება ხორციელდება „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების“ მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის ფარგლებში განისაზღვრება პროგრამის აქტუალობა, საჭიროება და აუცილებელი რესურსები (პროგრამის აქტუალობისა და საჭიროების დადგენა ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და პროგრამის მოთხოვნადობის ანალიზის საფუძველზე). პროგრამის შემუშავების ინიცირება ხდება ფაკულტეტის საბჭოზე, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ მზადდება ბაზრის კვლევისა და პროგრამის მოთხოვნადობის შესახებ ანგარიში, ასევე, ანგარიში პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების შესახებ. ბაზრის კვლევისა და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების შესახებ ანგარიში დეკანის მიერ განსახილველად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით მმართველ საბჭოს. მმართველი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის დაწყების შესახებ.

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის/თანახელმძღვანელ(ებ)ის განსაზღვრა და

პროგრამის კომიტეტის შექმნა;

გ) მუშაობის პროცესში ჩართული მხარეების განსაზღვრა;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, წავლის შედეგების ჩამოყალიბება და სასწავლო გეგმის

შედგენა;

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო გეგმის დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა;

ვ) უკუკავშირის მიღება და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და კომიტეტის მიერ შედეგების განხილვა;

ზ) მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის მოდიფიცირება;

თ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ შესაბამისი კომპონენტების სილაბუსების შემუშავება;

ი) კომიტეტის წევრების მიერ სილაბუსების გადახედვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით და საჭიროების შემთხვევაში სილაბუსის ავტორთან შეთანხმებით გარკვეული ცვლილებების შეტანა;

კ) პროგრამის განხილვა ფაკულტეტის საბჭოზე. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების მიხედვით ცვლილებების შეტანა (საჭიროების შემთხვევაში);

ლ) საგანმანათლებლო პროგრამის წარდგენა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დასკვნის მიხედვით ცვლილებების შეტანა (საჭიროების შემთხვევაში);

მ) პროგრამის წარდგენა მმართველ საბჭოზე დასამტკიცებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაზე პასუხისმგებელი მხარეები არიან: პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის კომიტეტი, ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ავტორიზაციის ეტაპზე მიღებული რეკომენდაცია ზემოთ აღნიშნულ პროცესებში სტუდენტების ჩართულობის შესახებ და სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტის სხდომებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, სადაც განიხილება პროგრამების შემუშავებისა და განვითარების საკითხები. სტუდენტები კომიტეტის წევრებს უზიარებენ საკუთარი ხედვებს და მოსაზრებებს. კომიტეტის სხდომებზე დამსწრე სტუდენტების შერჩევის მიზნით რექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი, სადაც განისაზღვრება კონკურსის პირობები. კონკურსის ინიცირებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. კომიტეტის შემადგენლობა და საქმიანობა

რეგულირდება უნივერსიტეტის „ევროპის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის რეგლამენტით“.

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებს. აღნიშნული გარემოება გამოიკვეთა ინტერვიუების დროს. ასევე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მმართველ საბჭოში წარმოდგენილია პროფესიული ასოციაციის წარმომადგენელი და სტუდენტი.

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში, სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების მიზნით, მხედველობაში მიიღება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები. ევროპის უნივერსიტეტში სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად

უნივერსიტეტი ამ ეტაპზე ახორციელებს 18 საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის 8 საბაკალავრო, 2 სამაგისტრო, 3 ინტეგრირებული სამაგისტრო, 4 ერთსაფეხურიანი და 1 მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. ყველა პროგრამა აკრედიტირებულია, გარდა ფინანსების და საბანკო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისა, რომელიც ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში, აქვს მიღებული სტატუსი და 2024 წლიდან შეწყვეტს ფუნქციონირებას.

3.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია:

1) მოამზადოს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური იურისტი, რომელსაც ექნება ეროვნული სამართლის ფართო, ხოლო საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სიღრმისეული ცოდნა;

2) მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც მიღებული ცოდნის საფუძველზე ექნება სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირების, გადაჭრის, შეფასების, მსჯელობის, დასაბუთების, სამართლებრივი დოკუმენტების წარმოების, სამართლის წყაროების (სამეცნიერო პუბლიკაციები, საკანონმდებლო ცვლილებები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მოძიების და იურისპრუდენციაში არსებული სიახლეების მიდევნების, დამუშავების და დასაბუთებული პოზიციის წერილობითი და ზეპირი ფორმით გადმოცემის უნარი;

3) ასევე, მოამზადოს პროფესიული და ეთიკური ღირებულებების მქონე, სოციალური პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი სპეციალისტი. სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს (8 სემესტრს) და მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის: სავალდებულო თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე - 29 კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (მათ შორის პრაქტიკის კომპონენტი - 10 კრედიტი) - 149 კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 4 კრედიტი კონცენტრაცია - 30 კრედიტი არჩევითი თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ასევე ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე და რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით - 28 კრედიტი. რიგი სასწავლო კურსები ალტერნატიული სახით შეთავაზებულია ინგლისურ ენაზე სტუდენტის სურვილის შესაბამისად. აღნიშნული სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობაა ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა (დაშვების სხვა წინაპირობებთან ერთად, ასეთის არსებობის შემთხვევაში). პროგრამა იძლევა 4 კონცენტრაციიდან (საჯარო სამართლის, კერძო სამართლის, სისხლის სამართლის და

საერთაშორისო სამართლის კონცენტრაციიდან) ერთ-ერთის არჩევის შესაძლებლობას. კონცენტრაციები ითვალისწინებენ როგორც სავალდებულო ისე არჩევით სასწავლო კურსებს.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია:

1. მოამზადოს ევროპული საგანმანათლებლო სივრცისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე საერთაშორისო ურთიერთობების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ პოლიტიკის შემქმნელის, აღმასრულებელ, ანალიტიკურ და წარმომადგენლობით პოზიციებზე ნაყოფიერ საქმიანობას.
2. განუვითაროს სტუდენტებს პოლისტიკური და მულტიდისციპლინარული აზროვნება, და “რბილი” თუ “მყარი” უნარები, რაც მნიშვნელოვანია საერთაშორისო სისტემის წინაშე არსებული კომპლექსური და მრავალმხრივი პრობლემების ანალიზის, პრევენციის, მათზე რეაგირებისა თუ მათთან დაკავშირებული რისკების მართვისთვის.
3. ხელი შეუწყოს სტუდენტებს, ჩამოუყალიბდეთ სამოქალაქო პასუხისმგებლობა, ზოგადსაკაცობრიო და ევროპული ღირებულებები, თუ მორალური და ეთიკური ნორმები, რომლებიც აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების დარგში ღირსეული პროფესიული მოღვაწეობისთვის.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს (8 სემესტრს) და მოიცავს 240 კრედიტს. საგარეო პოლიტიკის ქოლგის ქვეშ ერთიანდება 8 სავალდებულო სასწავლო კურსის სახით; პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართულებით პროგრამაში გათვალისწინებულია 7 სავალდებულო სასწავლო კურსი; უსაფრთხოების საკითხებს ფარავს 6 სავალდებულო სასწავლო კურსი; საერთაშორისო სამართლის მიმართულებას 4 სავალდებულო სასწავლო კურსი, ხოლო ეკონომიკის მიმართულებას - 3 სავალდებულო სასწავლო კურსი. არჩევითი სასწავლო კურსები შემდეგი რაოდენობითაა შეთავაზებული: საგარეო პოლიტიკის ქოლგის ქვეშ ერთიანდება 7 არჩევითი სასწავლო კურსი; პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართულებით პროგრამაში გათვალისწინებულია 4 არჩევითი სასწავლო კურსი; უსაფრთხოების საკითხებს ფარავს აგრეთვე 4 არჩევითი სასწავლო კურსი; ეკონომიკის მიმართულებას 5 არჩევითი სასწავლო კურსი, ხოლო საერთაშორისო სამართლის მიმართულებას - 5 არჩევითი სასწავლო კურსი. სტუდენტს ეძლევა საშუალება თავად გადაწყვიტოს, გაჰყვება დაბალანსებულ ინტერდისციპლინარულ მიდგომას, თუ ცოდნას გაიდრმავეს ერთი რომელიმე კონკრეტული ზემოაღნიშნული მიმართულებით, ხოლო სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტს შეუქმნას საერთაშორისო ურთიერთობების გაგება-გააზრებისთვის აუცილებელი ინტერდისციპლინარული ბაზისი. ამას გარდა, პროგრამაში გათვალისწინებულია 1 სავალდებულო სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები“ და 9 არჩევითი სასწავლო კურსი, რომლებიც ცალკეული პროფესიული უნარების განვითარებას ემსახურებიან.

ფინანსებისა და საბანკო საქმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

(1) მისცეს საფუძვლიანი ცოდნა ბიზნესის ძირითად ფუნქციურ მიმართულებებში (ეკონომიკა, ფინანსები, ადრინცხვა, მენეჯმენტი, მარკეტინგი), დააუფლოს ბიზნესში არსებული პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო ანალიტიკურ ინსტრუმენტებს.

(2) გაუღრმავოს თეორიული ცოდნა და განუმტკიცოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიზნესის ადმინისტრირების კონკრეტულ ფუნქციურ მიმართულებაში (ფინანსები); განუვითაროს მენეჯერულ პოზიციებზე წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, მოამზადოს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კომპანიებში მმართველობის სხვადასხვა რგოლში დასაქმებისა და შესაბამისი ფუნქციების ეფექტური შესრულებისათვის.

(3) განუმტკიცოს ზოგადი კომპეტენციები, როგორცაა: ანალიზის, სინთეზის, პრობლემის გადაწყვეტის, კომუნიკაციის, მოხსენების მომზადება-წარდგენის, კრიტიკული აზროვნების, ჯგუფში მუშაობის, სამუშაოს დაგეგმვა-ორგანიზების და დროის მართვის, პასუხისმგებლობის და ორგანიზაციაში ქვეყნის უნარ-ჩვევები.

(4) საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტით (საქმიანი/როლური თამაშები, ბიზნესსიმულაციები, სასწავლო პროექტები, საბაკალავრო ნაშრომი, პროფესიული პრაქტიკა

ორგანიზაციაში) ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნა-უნარების პრაქტიკულ სიტუაციებში გამოყენებასა და საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ პრაქტიკულ ჩვევათა განმტკიცებას.

პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის: სავალდებულო კომპონენტი 189 კრედიტი, მათ შორის თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე - 35 კრედიტი და ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები - 154 კრედიტი, რომელიც მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 25 კრედიტი; პრაქტიკა - 5 კრედიტი; საბაკალავრო ნაშრომი- 10 კრედიტი, არჩევითი კომპონენტი - 51 კრედიტი.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

1. მისცეს საფუძვლიანი ცოდნა ბიზნესის ძირითად ფუნქციურ მიმართულებებში (ეკონომიკა, ფინანსები, აღრიცხვა, მენეჯმენტი, მარკეტინგი), დააუფლოს ბიზნესში არსებული პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო ანალიტიკურ ინსტრუმენტებს; შესძინოს სამეწარმეო საქმიანობისა და ბიზნესის გაძლოის უნარ-ჩვევები.
2. გაუღრმავოს თეორიული ცოდნა და განუმტკიცოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიზნესის ადმინისტრირების რომელიმე კონკრეტულ ფუნქციურ მიმართულებაში (ფინანსები/მარკეტინგი/მენეჯმენტი); განუვითაროს მენეჯერულ პოზიციაზე წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, მოამზადოს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კომპანიებში მმართველობის სხვადასხვა რგოლში დასაქმებისა და შესაბამისი ფუნქციების ეფექტური შესრულებისათვის.
3. განუმტკიცოს ზოგადი კომპეტენციები: ზეპირი და წერილი კომუნიკაციის (ქართულ და ინგლისურ ენებზე), პროექტის/მოხსენების მომზადება-წარდგენის, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების, მონაცემთა მოძიება-დამუშავების, ანალიზის, სინთეზის, მიზეზშედეგობრივი კავშირების გაცნობიერების, პრობლემის იდენტიფიცირების, გადაწყვეტის, კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის, შეფასების, დასაბუთების, მცირე მასშტაბიანი კვლევების ჩატარების, ჯგუფში მუშაობის, სამუშაოს დაგეგმვა-ორგანიზების და დროის მართვის, პასუხისმგებლობის და ორგანიზაციაში ქცევის უნარ-ჩვევები, მოქალაქეობრივი კომპეტენციები და ღირებულებები.
4. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტით (საქმიანი/როლური თამაშები, ბიზნესსიმულაციები, სასწავლო პროექტები; ბიზნესის პრაქტიკუმი; საბაკალავრო პროექტი; პროფესიული პრაქტიკა ორგანიზაციაში) შეუწყოს ხელი სტუდენტის მიერ ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნა-უნარების პრაქტიკულ სიტუაციებში გამოყენებას და საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ პრაქტიკულ ჩვევათა განმტკიცებას.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს ანუ 8 სემესტრს და მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის სავალდებულო კომპონენტი 195 კრედიტი, მათ შორის თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე- 24 კრედიტი, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 162 კრედიტი და საბაკალავრო პროექტი - 9 კრედიტი. არჩევითი კომპონენტი - 45 კრედიტი, მათ შორის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები 9 კრედიტი და არჩევითი სასწავლო კურსები / პროგრამის თავისუფალი კრედიტები - 36 კრედიტი.

ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს გამოუმზავს კურსდამთავრებული, რომელიც: ფლობს კომპეტენციას ინფორმატიკის დარგში; აწარმოებს კვლევებს, აგებს, ავითარებს ან ახორციელებს ინფორმატიკის პროფილის პროექტებს სხვადასხვა სფეროში; თავისი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას აცნობიერებს ინფორმატიკის სფეროში არსებულ ეთიკურ და სოციალურ ასპექტებს; დამოუკიდებლად აგრძელებს ინფორმატიკის დარგის ახალი ტექნოლოგიების ათვისებას ან იღებს განათლებას სწავლების შემდგომ საფეხურზე. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს ანუ 8 სემესტრს და მოიცავს

240 კრედიტს, აქედან სავალდებულო კომპონენტები - 198 კრედიტი (თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე - 34 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 144 კრედიტი; პრაქტიკა - 5 კრედიტი; საბაკალავრო ნაშრომი - 15 კრედიტი) და არჩევითი კომპონენტი - 42 კრედიტი (ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 27 კრედიტი; დანარჩენს წარმოადგენს თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ასევე ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე და რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან. პროგრამის დასრულებისთვის სავალდებულოა პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის B2 დონის მიღწევა, ჩაბარება (პროგრამა უზრუნველყოფს ინგლისური ენის B2 დონეზე სწავლებას) ან დოკუმენტურად დადასტურება.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია: 1. მისცეს ცოდნა ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული ფუნქციონალური სფეროების შესახებ, რომელიც მოიცავს ტურიზმის კომპლექსური საკითხების, თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; შესძინოს ცოდნა ტურიზმის ეკონომიკური მნიშვნელობის, ტურისტული ინდუსტრიის დარგობრივი სტრუქტურის, ტურიზმის პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საკითხებზე; 2. განუვითაროს პრაქტიკული უნარები ტურისტული რესურსებისა და პოტენციალის შეფასებისა და ანალიზის, ტურისტული პროდუქტის ფორმირების, განვითარებისა და რეალიზაციის შესახებ; 3. გამოუმუშავოს უნარები, რომლებიც დაეხმარება ტურიზმის სფეროში წამოჭრილი აქტუალური პრობლემების დამოუკიდებლად იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის სტრატეგიების დაგეგმვაში, სოციალური-ეკონომიკური ასპექტების და ეთიკური ნორმების გათვალისწინებით. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, აქედან: ა) ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები - სავალდებულო სასწავლო კურსები - 166 კრედიტი, მათ შორის პრაქტიკა - 6 კრედიტი და საბაკალავრო პროექტი - 5 კრედიტი; და ბ) არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი; • თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი/ტრანსფერული უნარების განვითარებაზე- სავალდებულო სასწავლო კურსები - 49 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს საქართველოს განათლების მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტების, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის, პროფესიული სტანდარტის, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი, რომელიც იქნება კრიტიკული აზროვნების, ინოვაციური და აკადემიური უნარ-ჩვევების, მოქალაქეობრივი შეგნებისა და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი, ექნება შესაბამისი საგნის სწავლებისათვის საჭირო ცოდნა და უნარები, ორიენტირებული იქნება უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, იქნება კონკურენტუნარიანი, სიახლეების მიმღები და დამნერგავი პედაგოგიურ პრაქტიკაში.

საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

მოამზადოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე, აკადემიური უნარ-ჩვევების მქონე მათემატიკის მასწავლებელი, რომელიც:

1. შეძლებს კონსტრუქტივიზმზე დაფუძნებული და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას;
2. საკუთარ პროფესიულ საქმიანობას განავითარებს პრაქტიკის კვლევის საფუძველზე სწავლებასწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
3. გაითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებებს და სფეროს საერთაშორისო ტენდენციებს, უპასუხებს დარგის, სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს.

საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: მოამზადოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების კრიტიკულად და შემოქმედებითად

მოაზროვნე, აკადემიური უნარ-ჩვევების მქონე ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებელი, რომელიც: 1. შეძლებს კონსტრუქტივიზმზე დაფუძნებული და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას; 2. საკუთარ პროფესიულ საქმიანობას განავითარებს პრაქტიკის კვლევის საფუძველზე სწავლებასწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით; 3. გაითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებებს და სფეროს საერთაშორისო ტენდენციებს, უპასუხებს დარგის, სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს.

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა მენეჯმენტის სფეროს უახლეს მიღწევებზე, თანამედროვე ბიზნეს-ორგანიზაციების ეკონომიკური გარემოსა და ორგანიზაციული პროცესების მართვასთან, ციფრული ბიზნესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებზე (2) განუმტკიცოს ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, ორგანიზაციის/ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებისა და რისკების შეფასების, მენეჯმენტის დარგისათვის დამახასიათებელი კომპლექსური პრობლემების პრაქტიკული თუ მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი გადაწყვეტის უნარ-ჩვევები; აგრეთვე, კერძო/საჯარო ორგანიზაციებში მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებისა და საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობის განხორციელებისთვის, ან დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. (3) შეუწყოს ხელი მენეჯმენტის სფეროში მიღებული განათლების საფუძველზე ბიზნესის ცვალებად, კომპლექსურ გარემოსთან სწრაფად ადაპტირებაში; სოციალურ პასუხისმგებლობასა თუ ეთიკურ ღირებულებებზე დაფუძნებული ბიზნეს-საქმიანობის მიმართ სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემიურ წელს (4 სემესტრს) და მოიცავს 120 (ECTS) კრედიტს.

სასწავლი კომპონენტს - 100 კრედიტის მოცულობით. მათ შორის:

ა) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 75 ECTS მოცულობით

ბ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამის არჩევით სასწავლო კურსებს / კომპონენტს - 25 ECTS მოცულობით მათ შორის, პროფესიულ პრაქტიკას - 5 ECTS მოცულობით, კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომი - 20 ECTS მოცულობით

პროგრამის ფარგლებში არჩევით კომპონენტებში მოიაზრება სპეციალობის გაღრმავებისკენ მიმართული სასწავლო კურსები, მათი არჩევა სტუდენტს შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის არჩევით კომპონენტში შეთავაზებული სასწავლო კურსებიდან (65 კრედიტის მოცულობით), საიდანაც მაგისტრანტს შეუძლია, საკუთარი სასწავლო/კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე. ამოირჩიოს მისთვის სასურველი კურსები - ჯამში 25 კრედიტის მოცულობით.

განათლების ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს განათლების ადმინისტრირების სფეროს მათალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც ფლობს: (1) განათლების ლიდერობის, მართვის/მენეჯმენტისა და ადმინისტრირების თეორიებისა და მათი პრაქტიკაში განხორციელების თავისებურების, ასევე, განათლების სფეროს კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების, სასკოლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საკანონმდებლო ბაზის, განათლების როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კონტექსტისა და ტენდენციების ღრმა და სისტემურ ცოდნას, რაც აუცილებელია განათლების სფეროს ლიდერისათვის განათლების სისტემისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტიანად სამართავად. (2) პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის პროცესისათვის აუცილებელი საკითხების ანალიზის, სფეროსა და დარგის მნიშვნელოვანი საკითხების კვლევისა და ინფორმაციის ანალიზზე დაფუძნებულ დასკვნებზე დაყრდნობით ინფორმირებული

გადაწყვეტილებების მიღების და გამოწვევების დაძლევის უნარს. (3) განათლების სფეროს ღირებულებების, პროფესიული ეთიკის და საკუთარი თავის, საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე სოციალური პასუხისმგებლობის გაცნობიერების უნარს. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემიურ წელს (4 სემესტრს) და მოიცავს 120 (ECTS) კრედიტს. აქედან: სასწავლო კომპონენტს - 90 კრედიტის მოცულობით, მათ შორის: ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კომპონენტს - 75 კრედიტის მოცულობით (მათ შორის პრაქტიკის კომპონენტს ჯამში 6 კრედიტის მოცულობით); ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კომპონენტს - 10 კრედიტის მოცულობით; გ) თავისუფალ კომპონენტს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს ნებისმიერ სასწავლო კურსი უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით - 5 კრედიტის მოცულობით. კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომი) - 30 კრედიტის მოცულობით. პროგრამის ფარგლებში არჩევით კომპონენტებში მოიაზრება სფეროსთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების გაღრმავებისკენ მიმართული სასწავლო კურსები, მათი არჩევა სტუდენტს შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის არჩევით კომპონენტში შეთავაზებული სასწავლო კურსებიდან (40 კრედიტის მოცულობით), საიდანაც მაგისტრანტს შეუძლია, საკუთარი სასწავლო/კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე ამოირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები - ჯამში 10 კრედიტის მოცულობით.

არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და შესაბამისად, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და ამოცანებს. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს საერთაშორისო და ადგილობრივი საგანმანათლებლო სივრცისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე არქეოლოგები, რომლებიც შეძლებენ:

1. მატერიალური კულტურის ნაშთის ზოგადი ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების, საქართველოსა და მსოფლიო კულტურის სისტემაში მისი ადგილის კვალიფიციურად განსაზღვრას; კონკრეტული არტეფაქტისა თუ ძეგლის სამეცნიერო და ეროვნული მნიშვნელობის, მისი მატერიალურ კულტურული ფასეულობის დადგენას და შესაბამისი პოზიციის ჩამოყალიბებას.

2. არქეოლოგიის ცალკეული პერიოდების დინამიკისა და მისი მომიჯნავე დარგების (ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) ურთიერთკავშირის შესახებ მულტიდისციპლინური კვლევების განხორციელებას, არქეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობას.

3. საბაზო კვლევის თანამედროვე პრინციპების გათვალისწინებითა და ეთიკური ნორმების დაცვით ქვეყნის მდიდარი, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას, წარმოჩენას და შენარჩუნებას. ასევე, სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, მორალურ-ეთიკური ნორმების გათვალისწინებით პროფესიულ სფეროში ნაყოფიერ საქმიანობას.

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის:

სავალდებულო თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე - 29 კრედიტი;

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი (მათ შორის პრაქტიკის კომპონენტი - 10 კრედიტი და საბაკალავრო ნაშრომი - 7 კრედიტი) – 170 კრედიტი;

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 22 კრედიტი;

არჩევითი თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ასევე ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე და რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით - 19 კრედიტი.

არჩევითი თავისუფალი კომპონენტის კრედიტები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის

ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, შესაძლებელია ათვისებულ იქნას არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტებით.

სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება ან პროგრამის ფარგლებში მიღწევა.

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი პროფესიონალის მომზადებას, რომელიც: ფლობს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს; ხელმძღვანელობს მტკიცებითი მედიცინის პრინციპებით; იყენებს კვლევისა და კომუნიკაციის უნარებს; იზიარებს ეთიკის ნორმებსა და პრინციპებს; პროფესიულად ვითარდება მუდმივად ცვალებად გარემოში.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 6 აკადემიურ წელს (12 სემესტრი, 360 კრედიტი). დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროსა და თავისუფალ კომპონენტებს, კერძოდ: • ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტებს 334 კრედიტის მოცულობით. მათ შორის: ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტებს 324 კრედიტის მოცულობით (მათ შორის კვლევით კომპონენტს 10 კრედიტის მოცულობით, ხოლო 20 კრედიტი კლინიკური უნარების ცენტრში/ლაბორატორიაში სწავლებისთვის); ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს 10 კრედიტის მოცულობით; • საგანმანათლებლო პროგრამა ასევე ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს 26 კრედიტის მოცულობით, მათ შორის: ა) სავალდებულო თავისუფალ კომპონენტს 16 კრედიტის მოცულობით, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე; ბ) არჩევით თავისუფალ კომპონენტს 10 კრედიტის მოცულობით, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე/თავისუფალ კომპონენტს 10 კრედიტის მოცულობით, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა იყოფა 4 ფაზად: I ფაზა - ადამიანის ორგანიზმის სტრუქტურა და ფუნქციები (I-II კურსი); II ფაზა - ჯანმრთელობის და ავადობის მექანიზმები (III კურსი); III ფაზა - ძირითადი კლინიკური ფაზა (IV-V კურსი); IV ფაზა - კლინიკური ფაზის დასკვნითი საფეხური (VI კურსი).

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიონალის მომზადება, რომელიც შეძლებს პრაქტიკაში დაეყრდნოს მტკიცებითი მედიცინის პრინციპებს, კვალიფიციურად გამოიყენოს კვლევითი, ეთიკური და კომუნიკაციური უნარები, შეძლოს თავი დაიმკვიდროს და პროფესიულად განვითარდეს მუდმივად ცვალებად გარემოში. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 6 აკადემიურ წელს ანუ 12 სემესტრს და მოიცავს 360 კრედიტს. პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროსა და თავისუფალ კომპონენტებს, კერძოდ: ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტებს 334 კრედიტის მოცულობით. მათ შორის: ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტებს 324 კრედიტის მოცულობით; ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს 10 კრედიტის მოცულობით; საგანმანათლებლო პროგრამა ასევე ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს 26 კრედიტის მოცულობით, მათ შორის: ა) სავალდებულო თავისუფალ კომპონენტს 12 კრედიტის მოცულობით, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე; ბ) არჩევით თავისუფალ კომპონენტს 14 კრედიტის მოცულობით, რომელიც ასევე ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე და რომლის არჩევაც შესაძლებელია პროგრამაში შეთავაზებული სასწავლო კურსებიდან ან რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით.

სამედიცინო პროგრამა იყოფა 4 ფაზად:

I ფაზა - ადამიანის ორგანიზმის სტრუქტურა და ფუნქციები (I-II კურსი)

II ფაზა - ჯანმრთელობის და ავადობის მექანიზმები (III კურსი)

III ფაზა - ძირითადი კლინიკური როტაციები (IV-V კურსი)

IV ფაზა - კლინიკური როტაციები - დასკვნითი საფეხური (VI კურსი).

მედიცინის ორივე პროგრამის ფარგლებში, სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 900 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით. პროგრამის დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ აღემატება 15 კრედიტს.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიონალი სტომატოლოგის მომზადება, რომელიც: ფლობს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს, რომელიც კვალიფიციურად გამოიყენებს კვლევით, ეთიკურ და კომუნიკაციურ უნარებს, პროფესიულად განვითარდება მუდმივად ცვალებად გარემოში. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 5 აკადემიურ წელს ანუ 10 სემესტრს და მოიცავს 300 კრედიტს.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს: • ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტებს 270 კრედიტის მოცულობით. მათ შორის: ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტებს 258 კრედიტის მოცულობით; ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კომპონენტებს 12 კრედიტის მოცულობით. საგანმანათლებლო პროგრამა ასევე ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს 30 კრედიტის მოცულობით, მათ შორის: ა) თავისუფალ კომპონენტს 20 კრედიტის მოცულობით, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე; ბ) თავისუფალ კომპონენტს 10 კრედიტის მოცულობით, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა იყოფა 3 ნაწილად: I ნაწილი - ადამიანის ორგანიზმის სტრუქტურა და ფუნქციები (I-II კურსი), II ნაწილი - ჯანმრთელობის და ავადობის მექანიზმები (III-IV კურსი), III ნაწილი - ძირითადი სწავლის სფეროს კლინიკური სასწავლო კურსები (V კურსი).

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიონალი სტომატოლოგის მომზადება, რომელიც: ფლობს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს, რომელიც კვალიფიციურად გამოიყენებს კვლევით, ეთიკურ და კომუნიკაციურ უნარებს, პროფესიულად განვითარდება მუდმივად ცვალებად გარემოში.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს: • ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტებს 270 კრედიტის მოცულობით. მათ შორის: ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტებს 258 კრედიტის მოცულობით; ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კომპონენტებს 12 კრედიტის მოცულობით. • საგანმანათლებლო პროგრამა ასევე ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს 30 კრედიტის მოცულობით, მათ შორის: ა) თავისუფალ კომპონენტს 20 კრედიტის მოცულობით, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე; ბ) თავისუფალ კომპონენტს 10 კრედიტის მოცულობით, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა იყოფა 3 ნაწილად: I ნაწილი - ადამიანის ორგანიზმის სტრუქტურა და ფუნქციები (I-II კურსი), II ნაწილი - ჯანმრთელობის და ავადობის

მექანიზმები (III-IV კურსი), III ნაწილი - ძირითადი სწავლის სფეროს კლინიკური სასწავლო კურსები (V კურსი).

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, სათანადო ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ: ა) თანამედროვე ცოდნას ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარების ისტორიის, ძირითადი თეორიული მიმდინარეობებისა და ემპირიული მიგნებებების შესახებ. ბ) ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე ფსიქოლოგიის როგორც მეცნიერებისათვის საჭირო ძირითადი კვლევის მეთოდების გააზრებისა და კვლევის აკადემიური და ეთიკური სტანდარტების გათვალისწინებით მათი გამოყენების უნარს, ასევე, კვლევის შესაბამისი დიზაინის შემუშავების, მონაცემთა ანალიზისა და შედეგების ინტერპრეტაციის უნარს. გ) 21-ე საუკუნისათვის მნიშვნელოვან ისეთ უნარებს, როგორიცაა: თანამშრომლობა, ჯგუფში მუშაობა, კრეატიულობა, კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაწყვეტა. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს ანუ 8 სემესტრს და მოიცავს 240 კრედიტს. აქედან: ა) თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე - 34 კრედიტი. ბ) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 140 კრედიტი, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი და პრაქტიკის კომპონენტი - 10 კრედიტი. გ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი. დ) თავისუფალი არჩევითი კომპონენტი, რომლის არჩევაც შესაძლებელია უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, დაშვების წინაპირობების დაცვით - 36 კრედიტი.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია ევროპის უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც ითვალისწინებს „მაღალ კვალიფიციური კადრის მომზადებას, სტუდენტის კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებას“. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს: 1. შეასწავლოს სხვადასხვა სახის ცხოველთა დაავადებები, გამოუმუშაოს მათთან დამოუკიდებლად ბრძოლისა და პრევენციის ღონისძიებების ჩატარების უნარები, ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების და გამოცდილების გათვალისწინებით; 2. შეასწავლოს ცხოველთა პროდუქტიულობის ამაღლების და სურსათის უვნებლობის საკითხები. განუვითაროს სურსათის ვეტერინარული კონტროლის განხორციელების უნარები; 3. გამოუმუშაოს ვეტერინარიის დარგის პრობლემების გადაწყვეტის და მეცნიერული კვლევის უნარები; 4. ჩამოუყალიბოს მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა ეკოსისტემის დასაცავად. სასწავლო პროგრამის კრედიტების განაწილება: ზოგადი/თავისუფალი კომპონენტი - 75 კრედიტი, მათ შორის: ზოგადი/თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 65 კრედიტი; თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები -178 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი „პრაქტიკა“ – 24 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - 14 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 9 კრედიტი.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტების კონტიგენტის გაზრდის გადაწყვეტილებას, არ გამოუწვევია რაიმე სახის ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა პროგრამების შინაარსში, მათ შორის სწავლების და შეფასების მეთოდებში. მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამები სწავლების/შეფასების მეთოდები და ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა (კლინიკურ კურსებზე) განსაზღვრულია და შეადგენს 6-12 სტუდენტი სასწავლო კურსის შესაბამისად.

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ ახორციელებს სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევების შეფასებას, უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის“ თანახმად უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით.

სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირი მეთოდით შეფასების მიზნით ასევე შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების რუკა, სადაც თითოეული სწავლის შედეგისთვის გაწერილია ინდიკატორები, რომლის მეშვეობითაც ხდება სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება. „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია“ და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა ასახავს სამიზნე ნიშნულებს, რომლის მიხედვითაც დგინდება, თუ რა შემთხვევაში ითვლება სწავლის შედეგები მიღწეულად და რა შემთხვევა შეფასების შედეგები არის საყურადღებო.

2022-2023 აკადემიური წლიდან „შპს ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ შევიდა რამოდენიმე ცვლილება, კერძოდ:

- მედიცინის ფაკულტეტის მსგავსად, სავტერინარო მედიცინისა და სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე გაიზარდა სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების მინიმალური ბარიერი და განისაზღვრა 50%-ით (30%-ის ნაცვლად);
- დაკორექტირდა დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და განისაზღვრა 50%+1 ქულით (50%-ის ნაცვლად).
- სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.
- სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი ინტეგრირებული სასწავლო კურსების შემთხვევაში უფლებამოსილია ამავე სასწავლო კურსის შემადგენელ თითოეულ კომპონენტს დაუდგინოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ამ შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეული კომპონენტისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის, სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

შეფასების არაპირდაპირ მეთოდად უნივერსიტეტი იყენებს კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას და შედეგების ანალიზს. არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით. შეფასების შედეგები განიხილება პროგრამის ხელმძღვანელებისა და კომიტეტის სხვა წევრების მიერ, ხდება მიღებული შედეგების გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამებში გამოყენებულია შეფასების რელევანტური მეთოდები, რაც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკისა და სწავლების მეთოდებს. აღსანიშნავია მძლავრი OSCE-ს საგამოცდო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას.

უნივერსიტეტის ტრენინგ-ცენტრის მიერ აქტიურად მიმდინარეობს შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება.

<p>სტუდენტის შეფასების პროცედურები გამჭვირვალეა და სამართლიანი ყველა სტუდენტისთვის. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს საკუთარი შეფასების შედეგები. სტუდენტის შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურები აღწერილია და რეგულირდება ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი „საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესით“.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები“; 2. „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია“; 3. “საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები“; 4. საგანმანათლებლო პროგრამები; 5. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 21 მარტის №92 ბრძანებით); 6. საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №62 ბრძანებით); 7. სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი და გამოყენების ანგარიშები; 8. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანალიზის შედეგების გამოყენების ანგარიშები; 9. სწავლის შედეგების შეფასება პროგრამების მე-4 დანართის შესაბამისად, შეფასების შედეგები და გამოყენების ანგარიშები; 10. საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიში გადაწერისა და გასაჩივრების შემთხვევების შესახებ; 11. სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი და განხორციელებული რეაგირების ანგარიშები; 12. სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის კვლევის შედეგები პერსონალისთვის სასურველი ტრენინგების თემატიკის შესახებ; 13. სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მიერ ტრენინგების ჩატარების დამადასტურებელი მასალა (გაცემული სერტიფიკატები, ტრენინგების ჩატარების ამასხველი მასალები); 14. ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია; 15. ინტერვიუები; 16. თვითშეფასების ანგარიში.
<p>ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები</p> <p>-</p>
<p>ექსპერტთა ჯგუფის რჩევები</p> <p>-</p>

4. უსდ-ის პერსონალი

4.1. პერსონალის მართვა

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

4.1 პერსონალის მართვა

ევროპის უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალის მართვის ძირითად პრინციპებს. დაწესებულებას დეკლარირებული აქვს, რომ ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს ძირითად რესურსს მიმზიდველი სამუშაო გარემოს ჩამოსაყალიბებლად. დაწესებულების მიზანია, უნივერსიტეტის მათალკვალისფიციური პერსონალი, სამუშაოს შესრულებისას იყოს მაქსიმალურად გადაწყვეტილებაუნარიანი, კრეატიული და მოქნილი. პერსონალის მართვის პოლიტიკა მხარს უჭერს და ეყრდნობა უნივერსიტეტის მიზნებსა და ამოცანებს სწავლა-სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის განვითარება-გაუმჯობესების მიმართულებით. ინსტიტუცია ადასტურებს, რომ მართვის ძირითადი პრინციპებია:

- მრავალფეროვანი და ნიჭიერი ადამიანური რესურსის მოზიდვის, განვითარების, წახალისებისა და შენარჩუნების მექანიზმების დანერგვა;
- პროდუქტიული სამუშაო გარემოს ჩამოყალიბება, სადაც ადამიანები იგრძნობენ თავს დაფასებულად;
- სამართლიანი და ეთიკური სამუშაო გარემოს ჩამოყალიბება.

უნივერსიტეტის პერსონალი წარმოდგენილია შემდეგი პოზიციებით: აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი), სამეცნიერო პერსონალი, მოწვეული პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი და დამხმარე პერსონალი. უნივერსიტეტში, პირი აკადემიურ თანამდებობაზე მიიღება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე აკადემიური პერსონალის შერჩევის წესი და პირობები რეგულირდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

ადმინისტრაციულ/დამხმარე, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალი თანამდებობაზე მიიღება დანიშვნით.

მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის შერჩევის წესი და პირობები რეგულირდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, ასევე დეტალურად გაწერილია აკადემიური პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რის მიხედვითაც ხდება პერსონალის დასაქმება.

უნივერსიტეტში ახალი თანამშრომელი, ადმინისტრაციულ/დამხმარე თანამდებობაზე, მიიღება 6 თვემდე გამოსაცდელი ვადით, მისი უნარებისა და შესაძლებლობების, აგრეთვე, ორგანიზაციის კულტურასა და მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით. უნივერსიტეტში ახალი თანამშრომლის ადაპტაციას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, უშუალო უფროსი და კოლეგები, რომლებიც პირს სამუშაო ადგილზე ხვდებიან.

უნივერსიტეტში არსებობს პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე სხვადასხვა წახალისები:

- ა) მადლობის გამოცხადება;
- ბ) შესაბამისი სიგელის გადაცემა;
- ბ) ფულადი ჯილდოს (პრემიის) გაცემა;
- გ) ფასიანი საჩუქრის გაცემა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე ეტაპზე ზოგიერთ ადმინისტრაციულ პოზიციაზე არის ვაკანსიები. ასევე გასაუბრებისას გამოირკვა, რომ აღინიშნება მათალი მობილობა ადმინისტრაციულ პოზიციებზე. ამიტომ, უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს ადმინისტრაციული პერსონალის შევსება-შენარჩუნებაზე, მოზიდვის მექანიზმების გაძლიერებაზე, სადაც ყურადღება უნდა დაეთმოს ინგლისური ენის კომპეტენციას, ვინაიდან უნივერსიტეტის სტრუქტურის უმრავლესობა უცხოენოვანია.

ამ ეტაპზე უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს ემსახურება 186 აკადემიური და 515 მოწვეული პერსონალი.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლები ავტორიზაციის განაცხადის გაკეთების (2021) მომენტისთვის:

მედიცინის ფაკულტეტი:

აკადემიური პერსონალის რაოდენობა - 108

მოწვეული პერსონალის რაოდენობა - 174

სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი (სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტები):

აკადემიური პერსონალის რაოდენობა - 65

მოწვეული პერსონალის რაოდენობა - 133

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი:

აკადემიური პერსონალის რაოდენობა - 10

მოწვეული პერსონალის რაოდენობა - 27

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლები 2023 წელს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ზრდის ფარგლებში, ექსპერტთა ვიზიტის მომენტისთვის:

მედიცინის ფაკულტეტი:

აკადემიური პერსონალის რაოდენობა - 116

მოწვეული პერსონალის რაოდენობა - 363

სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი (სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტების უფლებამონაცვლე):

აკადემიური პერსონალის რაოდენობა - 63

მოწვეული პერსონალის რაოდენობა - 117

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტი:

აკადემიური პერსონალის რაოდენობა - 18

მოწვეული პერსონალის რაოდენობა - 30

ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლები ავტორიზაციის მიღებიდან დღემდე:

სამშობლო ერთეულების რაოდენობა სამშობლო განრიგზე დაყრდნობით ავტორიზაციის მომენტში შეადგენდა 113-ს, მოცემულ მომენტში კი არსებული სამშობლო განრიგით შეადგენს 126-ს.

ზრდა ფიქსირდება მედიცინის ფაკულტეტის შემდეგ პოზიციებზე:

1. დეკანის მოადგილის პოზიციის რაოდენობა გაიზარდა 4-ით, ჯამში აღნიშნული პოზიციის რაოდენობამ შეადგინა 7.

2. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის რაოდენობა გაიზარდა 4-ით, ჯამში შეადგინა 10.

გაიზარდა ასევე გარკვეული სამსახურების ფარგლებში განსაზღვრული პოზიციების რაოდენობა, მაგალითად, საქმისწარმოების სამსახურს დაემატა 1 სპეციალისტი, უცხოელ სტუდენტთა შერჩევისა და მიღების სამსახურს დაემატა 1 სპეციალისტი, ბიბლიოთეკას დაემატა 1 თანამშრომელი.

ვინაიდან კონტინგენტის გაზრდა სხვა პროგრამებთან ერთად ითვალისწინებს ძირითადად მედიცინის პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის უპირატეს ზრდას, ექსპერტების მიერ დეტალურად დამუშავდა აღნიშნული პროგრამის პერსონალის მონაცემები. კერძოდ:

სტუდენტების კონტიგენტის გაზრდის მოთხოვნასთან დაკავშირებულ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდისთვის აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა მოხდა მედიცინის პროგრამისთვის 238 ლექტორით (მათ შორის 8 აკადემიური და 222 მოწვეული პერსონალი).

ჯამში ქართულენოვან მედიცინის პროგრამას ემსახურება 78 აკადემიური (მათ შორის 40 აფილირებული) და 241 მოწვეული პერსონალი, ხოლო ინგლისურენოვან პროგრამას - 73 აკადემიური (მათ შორის 35 აფილირებული) და 268 მოწვეული პერსონალი.

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უნივერსიტეტმა პერსონალის აფილირების და მდგრადი განვითარებისთვის მედიცინის ფაკულტეტზე ჩამოაყალიბა დეპარტამენტები, რომელსაც ჰყავს ხელმძღვანელები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან შესაბამისი დარგის სწავლა/სწავლების პროცესზე და ამავე დროს თავადაც არიან ლექტორები. ხელმძღვანელი პირები წარმოადგენენ აფილირებულ თანამშრომლებს. ამ ეტაპზე ფაკულტეტზე დაარსებულია 38 დეპარტამენტი, მათგან 23 უკვე დაკომპლექტებულია და დაკონტრაქტებულია შესაბამისი პერსონალით. დეპარტამენტების ხელმძღვანელებს აქვთ აფილირების კონტრაქტები, რის თანახმადაც მათ არ აქვთ სხვა უმაღლეს დაწესებულებაში თანამდებობის დაკავების უფლება, თუმცა სწავლების უფლება არ არის შეზღუდული, დათქმით არაუმეტეს 6 საათი/კვირაში. ზოგადად სხვა აფილირებული აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტთან შეთანხმებით უფლებამოსილია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განახორციელოს სწავლება, მაგრამ საშუალო კვირეული დატვირთვა არაუმეტეს 10 საათისა. იმ შემთხვევაში, თუ ევროპის უნივერსიტეტში პერსონალის სააუდიტორიო საათობრივი დატვირთვა არ არის სრული, იგი უფლებამოსილია გაიზარდოს სააუდიტორიო დატვირთვა სხვა უსდ-ში ისე, რომ მისი საათობრივი დატვირთვა არ აჭარბებდეს ევროპის უნივერსიტეტსა და სხვა უსდ-ში ჯამში ასაღები საათების რაოდენობას.

აფილირებული აკადემიური პერსონალის მაქსიმალური სემესტრული დატვირთვა განისაზღვრება შემდეგი სქემით:

ა) აფილირებული პროფესორი:

აკადემიური საქმიანობა - სემესტრში არაუმეტეს 315 საათისა (კვირაში საშუალოდ 21 აკადემიური საათი);

ბ) აფილირებული ასოცირებული პროფესორი:

აკადემიური საქმიანობა - სემესტრში არაუმეტეს 360 საათისა (კვირაში საშუალოდ 24 აკადემიური საათი);

გ) აფილირებული ასისტენტ-პროფესორი:

აკადემიური საქმიანობა - სემესტრში არაუმეტეს 405 საათისა (კვირაში საშუალოდ 27 აკადემიური საათი);

დ) აფილირებული ასისტენტი:

აკადემიური საქმიანობა პრაქტიკული, სამუშაო ჯგუფში და სასემინარო მუშაობა პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით - სემესტრში არაუმეტეს 405 საათისა (კვირაში საშუალოდ 27 აკადემიური საათი (პრაქტიკული / ჯგუფში მუშაობის საათები და ა.შ.).

ასევე აღსანიშნავია, რომ მედიცინის ფაკულტეტზე 7 ვიცე-დეკანის პოზიციაა, კონკრეტული მიმართულების გათვალისწინებით. ვიზიტის პერიოდისთვის 6 ვიცე-დეკანი უკვე დანიშნულია, ხოლო 1 ვაკანტური პოზიციაა.

აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (ყველა საფეხურზე) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებზე ჩასატარებელი საათების მინიმუმ 51%-ს სავალდებულოა კითხულობდეს აკადემიური პერსონალი და შესაბამისად, მაქსიმუმ 49%-ს - მოწვეული პერსონალი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პროგრამის სპეციფიკა შესაძლოა საჭიროებდეს განსხვავებულ

თანაფარდობას. ამ შემთხვევაში, აკადემიური პერსონალისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულია მინიმუმ 40%.

ბ) აკადემიური პერსონალის მინიმალური დაშვებული რაოდენობით პროგრამის უზრუნველყოფის შემდეგ შესაძლებელია პროგრამის განხორციელებაში ჩართოს

უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალი. არ არის დამკვეთი პროგრამა განხორციელდეს მხოლოდ აკადემიური პერსონალის მიერ. შესაბამისად, სავალდებულოა პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყოს მოწვეული სპეციალისტებიც.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი დეტალურად არ იცნობს დატვირთვის სქემას, რომელიც შემუშავებული აქვს უნივერსიტეტს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს ინფორმაციის უფრო ინტენსიურად გაზიარებაზე (ხელშეკრულებაში დატვირთვის სქემის ასახვა, საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება და ა.შ.).

უსდ აქტიურად ზრუნავს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებაზე, სწორედ ამ მიზნით შექმნილია სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი, რომელიც სისტემატიურად ატარებს შემდეგ ტრენინგებს:

სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა;

1. შეფასების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში;
2. სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში;
3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
4. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები უმაღლეს განათლებაში;
5. დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას;
6. სასწავლო კურსები შერეული სწავლების ფორმატში.

პერსონალის ზემოაღნიშნულ ტრენინგ-მოდულებში მონაწილეობის 2020-2021 აკადემიური წლის მაჩვენებელია 299 (ჯამური რიცხვი), ხოლო 2021-2022 აკადემიური წლების ზემოაღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 190 (ჯამური რიცხვი) პერსონალს. უსდ-ს წარმოდგენილი აქვს პერსონალის ტრენინგების დეტალური ანალიზი თემატიკის და პერსონალის რაოდენობის მიხედვით. მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად მედიცინის პროგრამაში მონაწილე პერსონალი ვალდებულია გაიაროს სავალდებულო ტრენინგები ორ წელიწადში ერთხელ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუცია უფრო ინტენსიურ ტრენინგებს სთავაზობს საკუთარ პერსონალს.

უსდ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ჩატარებულ გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე აკეთებს პერსონალის დამატებით მომზადება/გადამზადების აუცილებლობის იდენტიფიცირებას. საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრთან, პროფესიული განვითარების მიზნით უზრუნველყოფს შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას.

უნივერსიტეტი პერსონალს ასევე სთავაზობს ერაზმუს+ ფარგლებში სრულად დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობას. მათ აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ვორქშოპებსა და ტრენინგებში, რომლებიც ხორციელდება საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის მხარდაჭერით.

თვითშეფასების კითხვარში და ვებ-გვერდზე დეტალურად არის წარმოდგენილი ჩატარებული ტრენინგების და ვორქშოპების შესახებ ინფორმაცია, რომელიც დეტალურად ასახავს შესრულებულ აქტივობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. პერსონალის მართვის პოლიტიკა;
2. პერსონალის შერჩევის წესი;
3. პერსონალის მართვის პოლიტიკა;
4. აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები;
5. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
6. დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია და მონაცემები (მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაცია, პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლები);
7. ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია;
8. ინტერვიუები;

9. თვითშეფასების ანგარიში; 10. დაწესებულების ვებ-გვერდი.
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
4.2 1. რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის სავალდებულო დატვირთვის სქემის ინფორმირებულობის გაზრდა.
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
4.1 1. სასურველია, უნივერსიტეტმა იზრუნოს ადმინისტრაციული პერსონალის შევსება-შენარჩუნებაზე, მათი მოზიდვის მექანიზმების გაძლიერებაზე და ინგლისური ენის კომპეტენციის ამაღლებაზე.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს

ნაწილობრივ აკმაყოფილებს

არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
5.1 სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები უნივერსიტეტს თითოეული საფეხურისთვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის წესი, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. თითოეული პროცედურა გაწერილია „ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ და „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების წესში“. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული შიდა სამართლებლივი აქტები ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და მათი ქართული და ინგლისური ვარიანტები ატვირთულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. უსდ-ს ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველი პირებისთვის შემუშავებული აქვს, პროგრამის შესაბამისად, ქართული/ინგლისური ენის კომპეტენციის დადგენის წესი - „ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი“, დამტკიცებული 2020 წლის 14 სექტემბერს. ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ენის ცოდნის დონის განსაზღვრა ხდება ორი (ადგილზე ან დისტანციური) ფორმით; პროცესი შედგება ორი ეტაპისგან: საუბრის მოდული და წერის კომპეტენციის შემოწმება. თითოეული მათგანისთვის არის შემუშავებული და გაწერილი კრიტერიუმები. გამოცდის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ,

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებენ ის პირები, რომელთა ენობრივი კომპეტენცია აღწევს არანაკლებ B1 დონეს.

უსდ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება იცავს სტუდენტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ევროპის უნივერსიტეტმა კონტრაქტით მისცა ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე ჩარიცხულ ყველა სტუდენტს საშუალება სწავლის საფასური გადაიხადონ 10 ნაწილად ან უნივერსიტეტთან შეთანხმებით აირჩიონ გადახდის სხვა განაწილება, რაც დადასტურდა სტუდენტებთან შეხვედრის დროსაც: სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათი განცხადებები თანხის გადანაწილების ანდა გადახდის ობიექტური მიზეზებით გადავადების შესახებ, ადმინისტრაციის მხრიდან კმაყოფილებოდა. ამ გარემოებიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს სტუდენტთა ინტერესებზე და მათ ფინანსურ მდგომარეობას ანგარიშს უწევს. თუმცა, ვინაიდან უნივერსიტეტის ხელვით, გაზრდილი კონტიგენტის ფარგლებში მისი სტუდენტების 50%-ზე მეტი უცხოელი იქნება, სასურველი იქნება თუ გადახდის მოქნილი გრაფიკით უცხოელი სტუდენტებიც ისარგებლებენ.

არსებულ კონტრაქტში ევროპის უნივერსიტეტმა, ერთი მხრივ, სტუდენტების სურვილის გათვალისწინებით და, მეორე მხრივ, მათი შეფასების მექანიზმების გასაუმჯობესებლად, დაამატა პუნქტი სტუდენტთა უფლებებში: „აკადემიურ/მონეტარულ პერსონალს მოსთხოვოს უკუკავშირის გაცემა მისი აკადემიური მოსწრების შესახებ“, რაც ასევე დადებითი ცვლილებაა. ვინაიდან უსდ-მ გაზარდა აკადემიური პერსონალის რაოდენობა და იგეგმება ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ვაკანტური ადგილების ათვისება, ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ უკუკავშირის სისტემა სტუდენტთა გაზრდილი კონტიგენტის ფარგლებში ეფექტური იქნება, თუმცა, რათქმაუნდა, უსდ მზად უნდა იყოს გაზრდილი რაოდენობით მონაცემების დასამუშავებლად. ამისთვის კი, შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების კვალიფიციური კადრებით შევსება დროულად უნდა მოხდეს.

სტუდენტები აქტიურად და წარმატებით სარგებლობენ მიღებული შეფასების გასაჩივრების უფლებით, რომელიც განსაზღვრულია „საგამოცდო პროცესების ადმინისტრირების წესში“. ეს დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის სტუდენტებთან გასაუბრების დროსაც.

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებებით სტუდენტები აქტიურად სარგებლობენ. კერძოდ, უნივერსიტეტში შექმნილი სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი:

- ახორციელებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ მხარდაჭერას;
- პარტნიორებთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან ამყარებს ურთიერთობას;
- ხელს უწყობს სტუდენტთა ადაპტაციას;
- ახორციელებს მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების ხელშეწყობას.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ქართულ და ინგლისურ ენაზე განთავსებულია სტუდენტთა გზამკვლევი, რაც უცხოელ სტუდენტებს ადაპტაციასა და დამატებითი ინფორმაციის მიღებაში ეხმარება.

უნივერსიტეტი სისტემატურად, განსაკუთრებით კი ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, აწყობს კონსულტაციებს სტუდენტებთან იურიდიულ, ფინანსურ, აკადემიურ და სხვ. საკითხებთან დაკავშირებით. წინა წლების სტუდენტთა კმაყოფილების განმსაზღვრელ გამოკითხვებში შედარებით მაღალი იყო გარკვეული ადმინისტრაციული სტრუქტურების ეფექტურობით უკმაყოფილების მაჩვენებელი, ბოლო კვლევაში კი იგი საგრძნობლად შემცირებულია და სტუდენტები კომენტარებშიც აღნიშნავენ ადმინისტრაციული ერთეულების ორგანიზაციისა და ეფექტიანობის მკვეთრ გაუმჯობესებას. ეს მისასალმებელი ფაქტია, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ფინანსური სამსახურის მიმართ გამოითქვა უცხოელ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს უკმაყოფილება, კერძოდ, დასახელდა ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესების აუცილებლობა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ზოგადად ადმინისტრაციული სამსახურის

ყველა ერთეულში, მათ შორის ფინანსურში, საჭიროა გადაიხედოს ეს საკითხი, ვინაიდან სტუდენტთა კონტინგენტი მოთხოვნის ფარგლებში ძირითადად მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტების ხარჯზე გაიზრდება, ინგლისურენოვან კონსულტაციებზე მოთხოვნა პროპორციულად მოიმატებს.

როგორც ინტერვიუს დროს ექსპერტთა პანელისთვის გახდა ცნობილი, პარტნიორ კლინიკებში, ადგილობრივი პერსონალიდან შერჩეული პირები უწევენ სასწავლო პროცესს კოორდინირებას, რის სანაცვლოდაც უსდ მათ ფინანსურ ანაზღაურებას სთავაზობს. მაგრამ, ექსპერტების აზრით, სტუდენტთა გაზრდილი კონტიგენტის პირობებში, ვინაიდან ეს ცვლილება თითქმის გააორმაგებს მედიცინის სტუდენტების რიცხვს, სასწავლო პროცესის უწყვეტი და გამართული მიმდინარეობისთვის საჭირო იქნება კოორდინატორების რაოდენობის ზრდა, ინგლისური ენის ფლობის შესაბამისი კომპეტენციით.

სტუდენტთა კმაყოფილების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად ადევნებს თვალს სტუდენტთა რეკომენდაციებს, ითვალისწინებს მათ და აინიცირებს ცვლილებებს. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე საბიბლიოთეკო რესურსების განახლება, 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ასახული დასასრულებელი ნაბიჯები (მაგალითად, საგამოცდო და პორტფოლიოს მოდულების ჩაშენება სტუდენტურ ბაზაში და სხვ.). აღსანიშნავია ისიც, რომ უსდ-მ ერთი სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე შეიძინა ცაციებისთვის სპეციალურად ადაპტირებული ბორმანქანა. ეს ფაქტიც მეტყველებს, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტთა საჭიროებებს.

უსდ უზრუნველყოფს პოტენციურ დამსაქმებლებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებას, მათთან თანამშრომლობას; ამასთან, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერის მიმართულებით ცენტრი აქტიურად ატარებს სხვადასხვა კვლევებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების, დასაქმების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოსავლენად, იღებს უკუკავშირის დამსაქმებლებისგან, სთავაზობს სტუდენტებს სხვადასხვა სახის მეხვედრებს უნივერსიტეტის პარტნიორი დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლის მაგალითებიც ასახულია როგორც უსდ-ს განაცხადში, ასევე დასახელდა დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროსაც. უსდ-მ ბოლო წლებში გააფართოვა პარტნიორი ორგანიზაციების წრე, მაგალითად, 2022 წლის გაზაფხულის სემესტრში ევროპულ ბიზნეს ასოციაციასთან გაფორმდა მემორანდუმი.

ამასთან სტუდენტებს უსდ სთავაზობს სხვადასხვა ექსტრაკურიკულურულ ლექციებს, მაგალითად, CV-ის სწორად აწყობა-დამუშავებაზე, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ა.შ. ამ კუთხით დაგეგმილი ღონისძიებები გაწერილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაშიც.

უსდ უზრუნველყოფს დამატებითი (კურიკულუმის გარეშე დაგეგმილი აქტივობების - სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი აქტივობები) წახალისებასა და სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობას, მხარდაჭერას. სტუდენტების გაზრდილი მოთხოვნა (დაფიქსირებული კითხვარებში) უსდ-მ გაითვალისწინა და 2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში ევროპის უნივერსიტეტში შეიქმნა 8 ახალი სტუდენტური კლუბი. 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში კი განსაზღვრულია სტუდენტური აქტივობების განვითარებისთვის ხელისშემწყობი ნაბიჯები: კლუბების განვითარების მხარდაჭერა, სტუდენტების მოთხოვნების იდენტიფიცირებისთვის მეხვედრების პერიოდი, ახალი წლის აღმნიშვნელი ღონისძიება და ა.შ. ფინანსური სამსახურის მხრიდან გასაუბრების დროს აღინიშნა სტუდენტური აქტივობებისთვის გამოყოფილი თანხის გაზრდის ფაქტიც ამ წლის ბიუჯეტში წინა წელთან შედარებით.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური თვითმმართველობა, არჩეული 2023 წლის 12 დეკემბერს, გამჭირვალე და სამართლიანი არჩევნების საფუძველზე. ინტერვიუს დროს ასევე აღინიშნა, რომ სტუდენტური თვითმმართველობისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები წინა წელთან დაკავშირებით გაორმაგებულია, რაც დადებითი დინამიკის მაჩვენებელია.

უნივერსიტეტს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების წახალისების მიზნით შემუშავებული აქვს სტიპენდიის გაცემის წესი („შპს ევროპის უნივერსიტეტში სტიპენდიის დანიშნისა და ინდივიდუალური გადახდის გრაფიკით სარგებლობის წესი“), რომლის ფარგლებშიც მან 2022 წელს გაზარდა დასაფინანსებელი სტუდენტების რიცხვი რამდენიმე ფაკულტეტზე, მათ შორის მედიცინის ფაკულტეტის ფარგლებში 15-დან 20-მდე. როგორც ფინანსურ სამსახურთან საუბრისას განდა ნათელი, ამ რიცხვის გაზრდა ასევე იგეგმება სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტით მიღების შემთხვევაშიც და ბიუჯეტი ამ მიმართულებით გადაიხედება. ასევე ცნობილია , რომ სასტიპენდიო თანხები 2023-2024 სასწავლო წლის ბიუჯეტში წინა წელთან შედარებით 49000-დან 58000-მდე გაიზარდა. ეს ექსპერტთა ჯგუფს აფიქრებინებს, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების რაოდენობის ზრდის პარალელურად მათი ფინანსური მხარდაჭერის სახსრების პროპორციულ ზრდასაც.

ამასთან, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „შპს ევროპის უნივერსიტეტის მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები“, რომელშიც მკაფიოდაა განსაზღვრული შეღავათების გაცემის კრიტერიუმები. ამასთან, ამ სერვისით ბოლო წლების განმავლობაში უფრო და უფრო მეტი სტუდენტი სარგებლობს (2021-2022 სასწავლო წელს 7 სტუდენტი, 2022-2023 სასწავლო წელს კი - 13).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
2. ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 23 მარტის №94 ბრძანებით);
3. ევროპის უნივერსიტეტში სტიპენდიის დანიშნისა და ინდივიდუალური გადახდის გრაფიკით სარგებლობის წესი (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 19 მარტის №71 ბრძანებით);
4. ევროპის უნივერსიტეტის მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 19 მარტის №73 ბრძანებით);
5. „ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი“, დამტკიცებული 2020 წლის 14 სექტემბერს;
6. სტუდენტთან გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების ნიმუში;
7. ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://eu.edu.ge/ge>;
8. ევროპის უნივერსიტეტის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
9. ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია;
10. ინტერვიუები;
11. თვითშეფასების ანგარიში.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- 5.2
1. რეკომენდებულია, სტუდენტთა მომსახურების ადმინისტრაციულ ერთეულებში ინგლისური ენის კომპეტენციის გაძლიერება.
 2. რეკომენდებულია, კლინიკებში ინგლისური ენის ფლობის შესაბამისი კომპეტენციის ლოკალური კოორდინატორების რაოდენობის გაზრდა.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

- 5.2
1. სასურველია, გადახდის მოქნილი გრაფიკის კონტრაქტით შეთავაზება უცხოელი სტუდენტებისთვის.

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

6.1 კვლევითი საქმიანობა

6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

6.3 კვლევითი საქმიანობის შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს

ნაწილობრივ აკმაყოფილებს

არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

ევროპის უნივერსიტეტმა წარმოადგინა კვლევების დაფინანსების გამჭვირვალე და საჯარო სქემები. კვლევების დაფინანსების მიმართულებით შემუშავებულია „კვლევის დაფინანსების წესი“ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 21 მარტის №90 ბრძანებით). დოკუმენტი არეგულირებს ყველა ეტაპს, რომელიც ესაჭიროება სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებას. აღნიშნული დოკუმენტი საჯაროდ არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <https://eu.edu.ge/ge>. შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წყაროს წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფილი თანხა. გადაწყვეტილება დაფინანსების ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ მიიღება კომისიის მიერ. სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსებისთვის ბოლო ორი აკადემიური წლის განმავლობაში უნივერსიტეტის ბიუჯეტით შემდეგი თანხები იყო გამოყოფილი: მედიცინის ფაკულტეტის, სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის, სავტერიწარმო ფაკულტეტზე 2021-2022 წლებში ჯამურად გამოყოფილმა თანამ შეადგინა 176000 ლარი, ხოლო 2022-2023 წლებში 169500 ლარი.

2019 წლიდან დღემდე უნივერსიტეტის მიერ დაფინანსდა და განხორციელდა შემდეგი შიდა სამეცნიერო-კვლევითი პროექტები: „ონკოლოგიურ პაციენტებში ქიმიოთერაპიის შემდგომი ყელის სიმშრალის მკურნალობა და პროფილაქტიკა პრეპარატ ისლა მინით“ (პროექტის განხორციელების ვადები: 12.2019 – 10.2020; პროექტის ბიუჯეტი - 13900 ლარი); „სისხლძარღვშიდა და სისხლძარღვთა ფაქტორების კომპლექსური შესწავლა ახალგაზრდებში სისხლის დენადობის დადგენის მიზნით“ (პროექტის განხორციელების ვადები: 11.2019 – 10.2020; პროექტის ბიუჯეტი - 20000 ლარი); „სავალდებულო წილის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები საქართველოს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში“ (პროექტის განხორციელების ვადები: 09.2019 – 11.2021; პროექტის ბიუჯეტი - 3000 ლარი); „ტუბერკულოზის პრევენციული მკურნალობის გავლენის ეპიდემიოლოგიური ანალიზი აქტიური ტუბერკულოზის განვითარებაში“ (პროექტის განხორციელების ვადები: 12.2020 – 12.2022; პროექტის ბიუჯეტი - 49200 ლარი); „უმაღლესი განათლების თანამედროვე გამოწვევები, შრომის ბაზარი და სამეწარმეო აქტიურობის განვითარება“ (პროექტის განხორციელების ვადები: 07.2021 – 12. 2021; 8775 ლარი).

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი, რომელიც ახდენს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას და შეფასებას, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისებასაც; 2022 წლიდან ევროპის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს „Horizon Europe“-ის ოფისი, რომლის ფუნქციაა ევროკავშირის Horizon Europe-ის საგრანტო კონკურსებში საქართველოს სამეცნიერო სფეროს წარმომადგენელთა მონაწილეობის ხელშეწყობა. ევროპის

უნივერსიტეტში მოქმედებს სამი კვლევითი ინსტიტუტი: 1) სამართლის ინსტიტუტის ბაზა; 2) მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის ბაზა; 3) გლობალიზაციის კვლევის ინსტიტუტის ბაზა. აღნიშნულ ბაზებზე მიღებული შედეგები რეგულარულად ქვეყნდება ჟურნალებში, რომლებიც ფიგურირებს მსოფლიოში ცნობილ ისეთ ბაზებში, როგორიცაა EBSCO, ERIH PLUS, Google Scholar, OAJI, INDEX COPERNICUS. იმართება სემინარები, პანელური დისკუსიები, რაშიც აქტიურად არიან ჩართული სტუდენტები.

ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ორგანიზებით ყოველწლიურად იმართება კონფერენცია „განათლება, ტექნოლოგიები და ინოვაცია (ICETI)“ (www.iceti.eu.edu.ge). მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ კვლევითი პროექტების დაფინანსებაში აქტიურად არის ჩართული შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

წახალისების მიზნით, მაგალითად, 2023 წლის 19-23 ივნისს ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრისა და ფაკულტეტების თანაორგანიზებით გაიმართა „სამეცნიერო კვირეული სტუდენტებისთვის 2023“, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა და განხორციელდა სამუშაო შეხვედრები და ვორქშოპები სტუდენტებისთვის მათთვის საინტერესო სხვადასხვა თემაზე. კვირეულის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყო სტუდენტების ყოველწლიური გამოკითხვის შედეგად სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების კუთხით გამოკვეთილი საჭიროებები: <https://www.eu.edu.ge/ge/news/2132-evropis-universitetshi-sametsniero-kvireuli-studentebistvis-2023-gaimarta>. 2023 წლის 22 ივნისს მედიცინის ფაკულტეტის ორგანიზებით მე-14 სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. I, II და III ადგილზე გასული სტუდენტები, სერტიფიკატებთან ერთად, უნივერსიტეტის მიერ ფულადი პრიზით დაჯილდოვდნენ: <https://eu.edu.ge/ge/news/2122-meditisinis-pakultetis-organizebit-me-14-studenturi-sametsniero-konperentsia-gaimarta>. 2023 წლის 20 ივნისს სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მე-9 სტუდენტური კონფერენცია გაიმართა, სადაც ასევე სერტიფიკატებთან ერთად სიმბოლური პრიზები გადაეცათ: <https://eu.edu.ge/ge/news/2118-samartlis-ganatilebis-biznesisa-da-teknologiebis-pakultetze-studenturi-sametsniero>. ვიზიტის პროცესში, უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს გამოიკვეთა, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისა და გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტის შესაბამისი ერთეულები (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი, Horizon Europe Office) გააგრძელებენ აქტიურ რეჟიმში ინფორმაციის გაზიარებას არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო კვლევითი კონკურსებისა და პროგრამების შესახებ უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, საკონკურსო განაცხადების შევსების ხელშეწყობას, საინფორმაციო შეხვედრებსა და ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს; საჭიროებათა კვლევას და შესაბამისი აქტივობების/ტრენინგების/ვორქშოპების დაგეგმვასა და განხორციელებას. სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისების მიზნით, დამატებითი წამახალისებელი მექანიზმების დაგეგმვას. კერძოდ, სტუდენტური საგრანტო კვლევითი კონკურსების და მათი საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების პირობების გაუმჯობესებას. უნივერსიტეტის სამივე ფაკულტეტზე წელიწადში სულ მცირე ერთხელ გამოცხადდება სტუდენტური მოკლევადიანი კვლევითი პროექტების კონკურსი, რომელშიც ნებისმიერი კურსის სტუდენტს შეუძლება მონაწილეობა. წლიური ბიუჯეტით 2000 ლარის დაფინანსებით, თითოეული გამარჯვებული პროექტისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის წლიური ანგარიში, 2021-2022 აკადემიური წელი;
2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 20 მარტის №83 ბრძანებით);
3. კვლევის დაფინანსების წესი (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 21 მარტის №90 ბრძანებით);

<ul style="list-style-type: none"> 4. ევროპის უნივერსიტეტის 2021-2022 და 2022-2023 აკადემიური წლების ბიუჯეტი; 5. ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://eu.edu.ge/ge; 6. შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; 7. ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია; 8. ინტერვიუები; 9. თვითშეფასების ანგარიში.
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
-
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
<p>6.2</p> <ul style="list-style-type: none"> 1. სასურველია, აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა შიდა პროექტებში; 2. სასურველია, არსებული „Horizon Europe“ ოფისის რესურსების მაქსიმალურად გამოყენება და პროექტებში ჩართვა.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

- 7.1 მატერიალური რესურსი
- 7.2 საბიბლიოთეკო რესურსები
- 7.3 საინფორმაციო რესურსი
- 7.4 ფინანსური რესურსი

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

აკმაყოფილებს
 ნაწილობრივ აკმაყოფილებს
 არ აკმაყოფილებს

<p>გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები</p> <p>7.1 მატერიალური რესურსი</p> <p>ევროპის უნივერსიტეტი ქ. თბილისში ფლობს სათანადოდ აღჭურვილ, საკუთრებაში და სარგებლობაში არსებულ 2 სასწავლო კორპუსს და 70 ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალს. ჰოსპიტალის 100%-იანი წილის მფლობელია ევროპის უნივერსიტეტი. ადმინისტრაციული კორპუსი მდებარეობს გურამიშვილის გამზირზე, №76 (საკადასტრო კოდი: 01.12.01.004.137), სადაც განთავსებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. აღნიშნულ მისამართზე ხორციელდება სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე და ვეტერინარიის ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამები. მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის მესაკუთრეა ევროპის უნივერსიტეტი, მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი 4751 კვ.მ., ხოლო 5-სართულიანი შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი 2565.56 კვ.მ., აქედან 1193.83 კვ.მ. სასწავლო ფართობი, მათ შორის: 115.16 კვ.მ. ბიბლიოთეკას, ხოლო 151.73 კვ.მ. სასწავლო ლაბორატორიებს ეთმობა. შენობას გააჩნია ფოიე, სარეკრეაციო სივრცეები, სწავლებისთვის სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიები, ადმინისტრაციული ოთახები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, I-IV სართულებზე განთავსებულია სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა, საპროფესორო, კომპიუტერული კლასები, ინფორმატიკის პროგრამისათვის შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი EU ლაბი. უნივერსიტეტის რექტორის ოფისი და ძირითადი სტრუქტურული</p>
--

ერთეულების ადმინისტრაციული ოთახები განთავსებულია შენობის მესამე სართულზე, შესაბამისად, ოთახების განლაგება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. სამართლის საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად უნივერსიტეტის მეხუთე სართულზე განლაგებულია იმიტირებული სასამართლოს დარბაზი, ასევე, ზურაბ ჟვანიას სახელობის დარბაზი; შენობაში ასევე განთავსებულია სამართლებრივი დახმარების ცენტრი (სამართლის კლინიკა). უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი. უნივერსიტეტის მეორე კორპუსი მდებარეობს სარაჯიშვილის ქ. №17, (საკადასტრო კოდი: 01.11.05.034.011), სადაც ძრითადად ხორციელდება მედიცინის ფაკულტეტზე არსებული ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები, თუმცა, აღნიშნული კორპუსის აუდიტორიები სხვა საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებსაც ემსახურება. მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის მესაკუთრეა შპს ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი (დამფუძნებელი - ევროპის უნივერსიტეტი), ხოლო ევროპის უნივერსიტეტი 7-სართულიან შენობა-ნაგებობას ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე 2030 წლამდე. მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი 2588 კვ.მ., შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი 5219.55 კვ.მ., აქედან 2546.44 კვ.მ. სასწავლო ფართობი, მათ შორის: 404.49 კვ.მ. ბიბლიოთეკას, ხოლო 267.47 კვ.მ. სასწავლო ლაბორატორიებს ეთმობა; ხოლო დამხმარე ფართობი 2417.24 კვ.მ. შენობას გააჩნია ფოიე, სარეკრეაციო სივრცეები, სწავლებისთვის სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიები, ლაბორატორიები, სიმულაციური ოთახები, ადმინისტრაციული ოთახები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, I-VI სართულებზე განთავსებულია სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა, საპროფესორო, არქივი. მედიცინის ფაკულტეტის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით უნივერსიტეტში შექმნილია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი (სიმულაციური ცენტრი), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სიმულაციურ ცენტრს აქვს შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი 12 ოთახი. თითოეულ ოთახში თანაბრად არის გადანაწილებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზები (მანეკენები, სამედიცინო ინსტრუმენტები, კომპიუტერული ტექნოლოგიები და ა.შ.). დამატებით სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის მოწყობილია 5 სიმულაციური ოთახი: ქირურგიული სტომატოლოგიის 1 სიმულაციური ოთახი, თერაპიული სტომატოლოგიის 3 სიმულაციური ოთახი და ორთოპედიული სტომატოლოგიის 1 სიმულაციური ოთახი. სიმულაციური ცენტრის ერთ ოთახში გათვალისწინებულია მაქსიმუმ 11 სტუდენტის ყოფნა, რომლებსაც აქვთ საშუალება ცალკე-ცალკე, ერთმანეთის დამოუკიდებლად გააკეთონ სხვადასხვა მანიპულაციები მანეკენებზე. უნივერსიტეტში ასევე მოწყობილია ლაბორატორიები და სასწავლო კაბინეტები, კერძოდ, ანატომიის სასწავლო ოთახი, სადაც განთავსებულია ანატომიის სამგანზომილებიანი VR სათვალე (3D Organon VR Anatomy), ქიმიის, ბიოქიმიის და იმუნოლოგიის ლაბორატორია, ჰისტოლოგიისა და პათოლოგიის სასწავლო კაბინეტი/პათოლოგიის ლაბორატორია, მიკრობიოლოგიის ლაბორატორია, აკ. ივანე ბერიტაშვილის სახელობის გამოყენებითი ფიზიოლოგიის სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, ფიზიკის ლაბორატორია, ფარმაკოლოგიის ლაბორატორია, ქირურგიული საოპერაციო, გინეკოლოგიისა და ცხოველთა გამრავლების ბიოტექნოლოგიის კაბინეტი, სავეტერინარო ჰიგიენისა და ცხოველთა კვების ლაბორატორია, კლინიკური დიაგნოსტიკისა და თერაპიის ლაბორატორია, ცხოველური წარმოშობის საკვები პროდუქტების კონტროლისა და პარაზიტოლოგიის ლაბორატორია. დასახელებული ლაბორატორიები გამოიყენება მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო და საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

ლაბორატორიებში დაცულია უსაფრთხოების ნორმები. ლაბორატორიები გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესის განსახორციელებლად, ასევე, მედიცინის ფაკულტეტის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, საგამოცდო პროცესების უზრუნველყოფის

მიზნითაც, კერძოდ, ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდების (OSPE) ჩასატარებლად; ანატომიური მაგიდა (Anatomage table) გამოიყენება როგორც სწავლების, ასევე შეფასების პროცესში. „Body Interact“ - ვირტუალური პაციენტის გამოყენებით კლინიკური შემთხვევების განხილვა ხორციელდება. ორ ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი მდებარეობს ლუბლიანას ქ. №35 (საკადასტრო კოდი: 01.13.01.008.006), სადაც ხორციელდება მედიცინის ფაკულტეტზე არსებული ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები. მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის მესაკუთრეა ორ ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი (დამფუძნებელი ევროპის უნივერსიტეტი), ხოლო ევროპის უნივერსიტეტი ფლობს ჰოსპიტალის შენობა-ნაგებობის გარკვეული ფართით სარგებლობის უფლებას უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე 2033 წლამდე. მიწის ნაკვეთის საერთო ფართია 7472 კვ.მ., შენობა-ნაგებობების საერთო ფართია 14189.12 კვ.მ., აქედან ევროპის უნივერსიტეტი უზუფრუქტის ხელშეკრულების შესაბამისად განკარგავს 6773.73 კვ.მ.-ს, საიდანაც სასწავლო ფართია 3985.26 კვ.მ., მათგან 538.41 კვ.მ. ბიბლიოთეკას, ხოლო 300.72 კვ.მ. სასწავლო ლაბორატორიებს ეთმობა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოთ აღწერილი სიმულაციური ცენტრი, სათანადოდ აღჭურვილი 8 სიმულაციური ოთახით მოწყობილია ორ ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალშიც, ხოლო დამატებით სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის მოწყობილია 16 სიმულაციური ოთახი: ქირურგიული სტომატოლოგიის 5 სიმულაციური ოთახი, თერაპიული სტომატოლოგიის 5 სიმულაციური ოთახი და ორთოპედიული სტომატოლოგიის 6 სიმულაციური ოთახი. აქვე მოწყობილია მედიცინის ფაკულტეტის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული ოთხი ლაბორატორია: ქიმიის, ბიოქიმიის და იმუნოლოგიის ლაბორატორია, ჰისტოლოგიისა და პათოლოგიის სასწავლო კაბინეტი/პათოლოგიის ლაბორატორია, მიკრობიოლოგიის ლაბორატორია, გამოყენებითი ფიზიოლოგიის სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია. აქვე მოწყობილია საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სალექციო აუდიტორიები, კომპიუტერებით აღჭურვილი საგამოცდო ცენტრი (200 ადგილი), საპროფესორო, ბიბლიოთეკა, სტუდენტური სივრცე.

სასწავლო პროცესში გამოიყენება ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ბაზაზე არსებული ევროპის უნივერსიტეტის მორფოლოგიის ლაბორატორია. ორივე კორპუსში და ორ ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის შენობაში გათბობის საშუალებად გამოყენებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, ყველა სასწავლო ოთახს გააჩნია ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. შემუშავებულია ჯანმრთელობის და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. ყველა სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები და დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები. მედიცინის ფაკულტეტის კორპუსში დამონტაჟებულია ცენტრალური გაგრილება-კონდიციონერების სისტემა, ხოლო ადმინისტრაციულ კორპუსში გაგრილებას უზრუნველყოფს ინდივიდუალური გაგრილების სისტემები. ორივე კორპუსში და ორ ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის შენობაში არსებობს უწყვეტი ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის და წყლის მიწოდება, ალტერნატიული ელექტროენერგიის წყაროდ გამოიყენება გენერატორები. ადმინისტრაციულ და მედიცინის ფაკულტეტის კორპუსებში არსებობს სათანადოდ აღჭურვილი სამედიცინო ოთახები, რომელსაც ემსახურება ექთანი. სამედიცინო პუნქტი მუდმივად მარაგდება ცივი და ცხელი წყლით და პირველადი დახმარების მედიკამენტებით. უნივერსიტეტის ტერიტორიის შესასვლელებში დამონტაჟებულია ტურნიკეტის აპარატი. შესვლა დასაშვებია ბარათების გამოყენებით, მისი არქონის შემთხვევაში შესვლა დასაშვებია წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის ნებართვით. უნივერსიტეტის წესრიგის დაცვის მიზნით შენობების მთელ პერიმეტრზე დამონტაჟებული აქვს ვიდეო-კამერები. სამივე შენობას გააჩნია დამატებითი საევაკუაციო გასასვლელი/გასასვლელები. უნივერსიტეტში დაცულია ჰიგიენის წესები. ორივე კორპუსის პირველ სართულზე და ორ ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის მეორე სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილები. სამივე შენობა ადაპტირებულია და შესაძლებელია ლიფტებით სარგებლობა. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სსსმ სტუდენტებისთვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის მექანიზმები (მექანიზმები დადგენილია

„ევროპის უნივერსიტეტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიით“ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 21 მარტის №89 ბრძანებით).

2021-2022 აკადემიურ წელს ჩატარებული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის საფუძველზე მედიცინის ფაკულტეტის კორპუსში არსებულ კაფეტერიას დამატა უფრო კომფორტული, რბილი ავეჯი. ადმინისტრაციულ კამპუსში მოეწყო ცალკე სივრცე სტუდენტების მიერ სხვადასხვა შეხვედრების ორგანიზების, შეკრებების, კლუბების საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით. სივრცით სარგებლობა შესაძლებელია სტუდენტების მიერ ნებისმიერი ღონისძიების ჩასატარებლად. ხელშეწყობის მიზნით, სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ დაფიქსირებული სურვილების საპასუხოდ, მედიცინის ფაკულტეტის კორპუსში (სარაჯიშვილის ქ. №17) მიმდინარეობს სტომატოლოგიური კლინიკის მოწყობა, სადაც შესაძლებელი იქნება რეალური პაციენტების მიღება და სტუდენტთა პრაქტიკით უზრუნველყოფის დამატებითი ხელშეწყობა. მატერიალური რესურსების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული კორპუსის ეზოში (გურამიშვილის გამზირი, №76) მიმდინარეობს მშენებლობა, რომლის გამოყენებაც დაგეგმილია სასწავლო პროცესში. ოთხსართულიანი შენობის საერთო ფართობი 3000 კვ.მ., შენობაში დაგეგმილია დამატებით 37 აუდიტორიისა და სტუდენტური სივრცის მოწყობა.

7.2 საბიბლიოთეკო რესურსები

ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა განთავსებულია ორივე სასწავლო კორპუსში - გურამიშვილის გამზირი №76, პირველ სართულზე და სარაჯიშვილის ქ. №17, მეშვიდე სართულზე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ასევე ფუნქციონირებს ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში, ლუბლიანას ქ. №35, მე-2 სართულზე. ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში 6 დღე ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, ადმინისტრაციულ კორპუსში არსებული ბიბლიოთეკა მუშაობს 10:00 სთ-დან 20:00 საათის ჩათვლით შესვენების გარეშე (კვირაში 60 საათი), ხოლო მედიცინის ფაკულტეტის კორპუსში და ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში არსებული ორივე ბიბლიოთეკა - 10:00 სთ-დან 23:00 საათის ჩათვლით შესვენების გარეშე (კვირაში 78 საათი). ბიბლიოთეკა მოიცავს სამკითხველო დარბაზებს, წიგნსაცავს, მომუშავე პერსონალის სამუშაო სივრცეს, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცეს, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცეს. უნივერსიტეტში შემუშავებულია „ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 19 მარტის № 81 ბრძანებით) და საინფორმაციო ხასიათის ინსტრუქციები. მკითხველს უფლება აქვს უფასოდ მიიღოს დროებით სარგებლობაში სხვადასხვა საბიბლიოთეკო მასალები გატანის უფლებით, ან სამკითხველო დარბაზში სამუშაოდ. სამკითხველო დარბაზები აღჭურვილია მაგიდებით და სკამებით (ადმინისტრაციული კორპუსის სამკითხველო დარბაზი მოიცავს - 44 ადგილს, მედიცინის ფაკულტეტის კორპუსის ახალი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი მოიცავს 120 ადგილს, ხოლო ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში განთავსებული ბიბლიოთეკა ითვალისწინებს 40 ადგილს), ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით (ადმინისტრაციული კორპუსის სამკითხველო დარბაზში განთავსებულია 14 კომპიუტერი, ხოლო მედიცინის ფაკულტეტის კორპუსის და ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის სამკითხველო დარბაზში - 22 კომპიუტერი), სამივე კორპუსის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია პრინტერით, ასლის გადამღებით და სკანერის აპარატით, პროექტორით და პროექტორის დაფით, უზრუნველყოფილია უკაბელო ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა. ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო სტანდარტის შესაბამისად დამუშავებული და ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა. არსებობს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი - იხ. <http://esu.edu.ge/biblio/opac/index.php>; სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზები eIFL, EBSCO, HEINONLINE, ELSEVIER. ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ემსახურება პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია.

მკითხველისათვის კონსულტაციების გასაწევად ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ შექმნილია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის და სამეცნიერო ბაზების მოხმარების ინსტრუქციები, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ინსტრუქციები განთავსებულია, როგორც უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე სტუდენტურ ბაზაში: <https://eu.edu.ge/ge/research/library>; <https://eu.edu.ge/en/research/library>; <https://eu.edu.ge/en/Scientific%20bases>. ბიბლიოთეკა მუდმივად იღებს მომხმარებლისგან ინფორმაციას არსებული და საჭირო ლიტერატურის შესახებ, ასევე იღებს ინფორმაციას ამა თუ იმ დარგში ახალი და განახლებული გამოცემების შესახებ, რომლის შეძენის საკითხს ბიბლიოთეკა განიხილავს შესაბამის ფაკულტეტთან და შესაბამისად ხორციელდება ფონდის დაკომპლექტება-შევსება. ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში ირიცხება 20200-ზე მეტი ერთეული სახელმძღვანელო. აღსანიშნავია, რომ წინა შეფასებიდან, 2021 წლიდან დღემდე, ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს დაემატა 6800-ზე მეტი ერთეული ბეჭდური სახელმძღვანელო, კერძოდ, 2021 წელს შეძენილია 4578 ცალი წიგნი, 2022 წელს - 1468 ერთეული, ხოლო 2023 წლის იანვარ-ივლისის პერიოდში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს დაემატა 822 ერთეული წიგნი, რაც დასტურდება ინვენტარიზაციის მასალებით და წიგნადი ფონდის შეძენის/ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. ევროპის უნივერსიტეტის 2022-2023 აკადემიური წლის ბიუჯეტით საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრებისა და ელექტრონული ბაზებით უნივერსიტეტის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია 235000 ლარი. უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება მომხმარებელთა აზრის კვლევა საბიბლიოთეკო რესურსების განვითარების საჭიროების შესახებ. შეფასების პროცესში გამოიყენება სტუდენტის და პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი. ბიბლიოთეკაში არსებული ტექნიკური რესურსების მონიტორინგში, ტექნიკური პერსონალის გარდა, ჩართულია ბიბლიოთეკის პერსონალიც. შეფერხების აღმოჩენის შემთხვევაში, ბიბლიოთეკა მხარდაჭერისათვის და ხარვეზის აღმოსაფხვრელად მიმართავს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი აღჭურვილობის გამართულად მუშაობასა და განახლებაზე. მაგალითად, 2021-2022 აკადემიური წელს სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგების გაანალიზებისას საბიბლიოთეკო რესურსებთან დაკავშირებით აღმოჩენილი საყურადღებო საკითხების საპასუხოდ განხორციელებულია შესაბამისი რეაგირებები ანდა დაგეგმილია შესაბამისი ქმედებები, კერძოდ, გაზრდილია სახელმძღვანელოების რაოდენობა, მათ შორის, ერთი კონკრეტული წიგნის რამდენიმე ეგზემპლარი, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების მხრიდან გამოთქმული სურვილის საპასუხოდ მედიცინის ფაკულტეტის კორპუსში გაზრდილია სივრცე ბიბლიოთეკაში, ჩატარებულია რეგულარული შეხვედრები სტუდენტებთან საბიბლიოთეკო რესურსებითა და სერვისებით, ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით მათი ინფორმირების დონის გაზრდის მიზნით (დეტალებისთვის იხ. სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი და რეაგირების ანგარიშები). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბიბლიოთეკო რესურსის, უფრო კონკრეტულად, ბიბლიოთეკაში განთავსებული ადგილების შეფასება ევროპის უნივერსიტეტში ხდება უნივერსიტეტში მოქმედი „სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურის“ შესაბამისად. სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიმდინარე შეფასების პროცესში უნივერსიტეტის მიერ შეფასდა აღნიშნული საბიბლიოთეკო რესურსი და, შესაბამისად, მოხდა ადგილების დამატება, კერძოდ, ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში ბიბლიოთეკის მოწყობა. უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ჩატარებული სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგების გაანალიზების, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენის საფუძველზე იგეგმება საბიბლიოთეკო რესურსების განახლება და გამდიდრება, ასევე, საბიბლიოთეკო გარემოს, მომსახურების გაუმჯობესება, მომხმარებელთა ინფორმირების გაზრდა და ა.შ.

7.3 საინფორმაციო რესურსი

უსდ-ში შექმნილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების ბიზნესპროცესებს და უზრუნველყოფს მათ ეფექტურ განხორციელებას. უსდ-ში დანერგილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (eflow), სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული ბაზა, moodle-ის ელექტრონული სისტემა, surveymonkey-ის ელექტრონული პლატფორმა, პლაგიატის გამოვლენის (turnitin), საბუღალტრო აღრიცხვის (oria), საბიბლიოთეკო ფონდების მართვის (Openbiblio), HR soft, ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემები; უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი www.eu.edu.ge, რომელზეც განთავსებულია საკომუნიკაციო ინფორმაცია, მარეგულირებელი დოკუმენტები, სტრატეგიული განვითარების გეგმები, სიახლეები, ხელმისაწვდომი სერვისები და სხვ., როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაში გატარდა მთელი რიგი ცვლილებები. მათ შორის აღსანიშნავია, რომ 3-დან ერთ კორპუსში უკვე განხორციელდა, დანარჩენ 2-ში კი მიმდინარეობს Wi-Fi აპარატების შეცვლა, ინტერნეტის სიჩქარის ხარისხის გაუმჯობესება, რაც ერთ-ერთი მთავარი პრობლემა და სტუდენტების მოთხოვნა იყო, 317-დან 670-მდე გაიზარდა კომპიუტერების რაოდენობა, უსდ-მ შეიძინა და სასწავლო ოთახებში განათავსა 55 ჭკვიანი დაფა და სხვ. მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული. მათ შორის სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე 2023-24 სასწავლო წელს დაგეგმილია დასრულდეს სამუშაოები სასწავლო ბაზაში რამდენიმე სისტემის ჩაშენებასთან დაკავშირებით, მათ შორის საგამოცდო მოდულის, რაც მკვეთრად გააადვილებს და გაუმჯობესებს საგამოცდო პროცესს. თუმცა, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ ლექტორებს უფრო ხშირად ჩაუტარდებოდათ კონსულტაციები ელექტრონული ბაზის გამოყენების უნარების გასაუმჯობესებლად.

უსდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით აფასებს საინფორმაციო სისტემის ეფექტიანობას.

7.4 ფინანსური რესურსი

ევროპის უნივერსიტეტმა შესაბამის დოკუმენტში ცვლილებების საფუძველზე ბიუჯეტირების პერიოდად განსაზღვრა არა კალენდარული, არამედ სასწავლო აკადემიური წელი. უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობა სტაბილური და მზარდია, განსაზღვრულია საბიუჯეტო პრიორიტეტები და შესაბამის მუხლებზეა გაწერილი ხარჯები; 2023-2024 სასწავლო წლის ბიუჯეტში შეიქმნა რამდენიმე ახალი მუხლი, მათ შორის სტუდენტთა სწავლის დაფინანსების კუთხით; სასტიპენდიო თანხების მოცულობა 49000-დან გაიზარდა 58000-მდე, თუმცა სტუდენტთა გაზრდილი კონტიგენტის მიღების შემთხვევაში ბიუჯეტი გადაიხედება და, როგორც ფინანსურ სამსახურთან საუბარში განდა ნათელი, გაიზრდება აღნიშნული თანხის მოცულობაც.

უსდ-ს მიერ გამოყოფილი თანხები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სტუდენტური და აკადემიური პერსონალის აქტივობების დასაფინანსებლად, მათ შორის ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო საქმიანობის კუთხით, ყოველწლიურად მზარდია და ადეკვატურად პასუხობს უსდ-ს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განსახორციელებლად არსებულ საჭიროებებს. ეს დადებითი დინამიკა ექსპერტებს უქმნის მყარ საფუძველს, რომ ევროპის უნივერსიტეტის ფინანსური რესურსები მიმართულია ორგანიზაციის მდგრადი და შემდგომი განვითარებისკენ.

ამასთან, ევროპის უნივერსიტეტი ფლობს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, რითაც უზრუნველყოფს რისკების მართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. ევროპის უნივერსიტეტის სარგებლობაში შემდეგ მისამართებზე არსებული შენობები: გურამიშვილის გამზირი, №76, თბილისი, 0141, სარაჯიშვილის ქ. №17, თბილისი, 0189, ლუბლიანას ქ. №35, თბილისი, 0159;

<ol style="list-style-type: none"> 2. ამონაწერები საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი: 01.12.01.004.137; 01.11.05.034.011; 01.13.01.008.006); 3. შიდა აზომვითი ნახაზები; 4. მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალები, შესყიდვის დოკუმენტაცია, ბუღალტრული ჩანაწერები; 5. გათბობისა და ვენტილაციის სისტემის გამართულად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი; 6. სანიტარული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი; 7. ევროპის უნივერსიტეტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 19 მარტის №74 ბრძანებით); 8. ევროპის უნივერსიტეტში წესრიგის დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 19 მარტის №75 ბრძანებით); 9. ევროპის უნივერსიტეტის საგანგებო შტაბის შექმნისა და ფუნქციების განსაზღვრის შესახებ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 19 მარტის №77 ბრძანებით); 10. დასკვნები შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ (შპს ოპტიმუსი); 11. დასკვნები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ; 12. ევროპის უნივერსიტეტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 21 მარტის №89 ბრძანებით); 13. ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 20 მარტის №82 ბრძანებით); 14. ინვენტარიზაციის მასალები, ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები; 15. ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგი: http://esu.edu.ge/biblio/opac/index.php 16. საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 17. ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა; 18. ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 23 მარტის №97 ბრძანებით); 19. ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ ჩატარებული შეხვედრები, კონსულტაციები და სხვა ღონისძიებები; 20. ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 19 მარტის № 81 ბრძანებით); 21. ევროპის უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: გურამიშვილის გამზირი, №76, თბილისი, 0141, სარაჯიშვილის ქ. №17, თბილისი, 0189, ლუბლიანას ქ. №35, თბილისი, 0159; 22. სტუდენტთა და პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები; 23. ევროპის უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის დადგენილებით, სხდომის ოქმი №6); 24. ევროპის უნივერსიტეტის 2022-2023 სასწავლო წლის ბიუჯეტი; 25. ევროპის უნივერსიტეტის განაცხადის ფორმა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ; 26. ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია; 27. ინტერვიუები; 28. თვითშეფასების ანგარიში.
<p>ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები</p> <p>7.3</p> <ol style="list-style-type: none"> 1. რეკომენდებულია, გაძლიერდეს ყველა ლექტორისთვის ელექტრონული ბაზის გამოყენების ინსტრუქციის მექანიზმები.

დანართები (არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. დიანა მჭედლიშვილი (თავმჯდომარე)



2. ხათუნა საგანელიძე (წევრი)



3. თამარ გოდერიძე (წევრი)



4. შოთა სილაგაძე (წევრი)

